

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი



სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე

ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება  
(საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის გამოყენების  
წინაპირობები)

წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ავტორი: ედუარდ ამოევი

ელექტრონული ფოსტა: eddie.amoev@gmail.com

ტელ.: 593 23 86 26

ხელმძღვანელი: ნათია ჩიტაშვილი, ასოცირებული პროფესორი, სამართლის  
დოქტორი.

## სარჩევი

შემოკლებათა განმარტება:.....	2
I. შესავალი.....	3
II. ჯანმრთელობის ხელყოფის ცნება .....	5
1. ჯანმრთელობის უფლება და მისი ცნება .....	5
2. ხელყოფა .....	8
1. მორალური ზიანის დეფინიცია .....	10
III. მორალური ზიანის ანგლო-ამერიკული სამართლისა და კონტინენტური სამართლის მიხედვით კომპარატიული შედარება .....	11
1. მცირე ისტორიული მიმოხილვა .....	12
IV. ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების ზოგადი სამართლებრივი საფუძვლები .....	13
1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი.....	13
1.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მიზანი.....	13
1.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები და საფუძვლები.....	15
V. ჯანმრთელობის ხელყოფის შესაბამისად მორალური ზიანის მოთხოვნის განსხვავებული საფუძვლები და წინაპირობები ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად.....	16
1. „საფრთხის ზონა“.....	20
2. საფრთხის მიყენების შიში.....	26
VI. ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრა. ....	27
1. „სრული კომპენსაციის პრინციპი“ .....	32
2. მორალური ზიანის ანაზღაურების ზედა ზღვარის განსაზღვრა.....	33
VII. ჯანმრთელობის ხელყოფის შესაბამისად არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.....	34
1. მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლების შესახებ .....	35
2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.....	37
2.1. მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლების განსაზღვრა.....	37
VIII. ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგად, არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ კონტინენტური ევროპის ქვეყნებში განვითარებული სამართლებრივი დოქტრინა. ....	39
IX. დასკვნა.....	41
ბიბლიოგრაფია:.....	47

## შემოკლებათა განმარტება:

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

იხ. - იხილეთ

No. – Number

V. -Versus

Vol. - Volume

UN- United Nations

WHO – World Health Organization

Co. - Company

## I. შესავალი

ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგად არაქონებრივი, იგივე მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი სამართლებრივ ლიტერატურაში საკმაოდ დიდი ხანია, რაც აქტიური განხილვის საგანს წარმოადგენს. აღნიშნული განპირობებულია მასთან დაკავშირებული იურიდიული მიდგომების მიმართ ხშირი კრიტიკისა და ურთიერთდაპირისპირებული მოსაზრებების არსებობის გამო.<sup>1</sup> მორალური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია სხვადასხვა უფლების დარღვევით იყოს გამოწვეული, რომელთაგან საქართველოში არსებული სამართლებრივი ლიტერატურა იცნობს შემდეგ დარღვევებს: სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დარღვევა, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის უფლების დარღვევა, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებათა დარღვევა, პირადი საიდუმლოების უფლებათა დარღვევა.

საქართველოში ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა კონსტიტუციით გარანტირებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა.<sup>2</sup> მისი სამოქალაქო დაცვის გზები კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით არის განსაზღვრული.

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია არამატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით სამართლებრივ ლიტერატურაში წარმოდგენილი მოსაზრებები და განხილულია ის დამოკიდებულება, რომელიც მის მიმართ არსებობს. მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის განსაზღვრისთვის და დეტალური შეფასებისთვის გონივრულია განხილული იყოს ფორმულირებები, რომლებიც რამდენიმე ასწლეული მანძილზე ყალიბდებოდა სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების დოქტრინაში. საყურადღებოა ის მიდგომები, რომლებიც მართალია საქართველოს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, თუმცა ემსახურება საერთო მიზანს - დაცული იქნას ჯანმრთელობის ხელყოფის შესაბამისად მოქალაქის არაქონებრივი უფლებები, რომლებიც შესაძლებელია გამოხატული იქნას ფინანსური ანაზღაურების სახით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული დებულებები და რეგულაციები მორალური ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით წარმოადგენს კონტინენტურ ევროპაში არსებული მიდგომების ერთგვარ სინთეზს, რომელიც მორგებულია საქართველოში დამკვიდრებულ სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ ბუნებაზე. კომპლექსური ანალიზის საფუძველზე გავლებულია პარალელები, როგორც საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებთან და განსაზღვრებებთან, ასევე კონკრეტული ქვეყნების შიდა სამართლებრივ რეგულაციებთან. მსჯელობის ეტაპზე გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი

<sup>1</sup> *Epstein A. R.*, Torts (Introduction to Law Series), Aspen Publishers, 1999, 1-3.

<sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

მეთოდი, რომელიც ერთმანეთისგან გამიჯნავს განსხვავებებს, და ადგენს მსგავსებებს განსახილველ ინსტიტუტთან მიმართებით.

საკითხის აქტუალობა და მისი კომპლექსური შინაარსი საშუალებას იძლევა ყურადღება დაეთმოს იმ საფუძვლებს, რომლებიც ქართული დოქტრინის მიხედვით არც თუ პოპულარულია, თუმცა სამომავლოდ მათი დანერგვა შესაძლოა უფლების დაცვის მიზანს დადებითად მოემსახუროს.

მიუხედავად იმ ფაქტის გათვალისწინებისა, რომ საქართველოში არც თუ ხშირია ადამიანის ხელყოფის შესაბამისად მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ დავები, შესამჩევია მზრდადი ტენდენცია, რის გამოც გონივრული იქნება დეტალური განხილვა იმ კანონმდებლობის განხილვა, რომელიც აღნიშნულ სამართლებრივ ინსტიტუტს არეგულირებს. სწორედ ამ ფაქტის გათვალისწინებით, ნაშრომში განვითარებული მსჯელობა აგებული იქნება იმ სამართლებრივი დოქტრინის შესაბამისად, რომელიც განვითარებულია სხვადასხვა სამართლებრივ ოჯახებში. ისეთი ქვეყნები, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, უკვე რამდენიმე ათწლეულია რაც განსახილველ ობიექტს იკვლევს და შესაბამისად არსებობს მდიდარი სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს საკმაოდ კომპლექსურ სიტუაციებს.

ნაშრომში განვითარებული მსჯელობა, ხელსაყრელი იქნება იმ ევროპული ღირებულებების გასაანალიზებლად, რომლისთვისაც სწრაფვა ქართული საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია. საკითხი საკმაოდ პრობლემატურია და მის მიმართ საზოგადოებაში არსებული ინტერესი პროპორციულად ზრდადი. ამ მოცემულობის გათვალისწინებით გონივრულად მივიჩნიე შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამომეტანა ის დასკვნები, რომლებიც მკითხველს შესაძლებლობას მისცემს საკითხის უკეთ გაგებაში და იმ დოქტრინის გაანალიზებაში, რომლებიც დამკვიდრებულია, როგორც ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახის წევრ ქვეყნებში, ასევე კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში. აღსანიშნავია ის დეტალიც, რომ ნაშრომში დასახელებულია ქართული სასამართლო გადაწყვეტილებების ის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის დანაწესს ლოგიკურად და ფართოდ განმარტავს. სასამართლო გადაწყვეტილებების როლი მნიშვნელოვნად უნდა იქნას მიჩნეული აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, ვინაიდან სამართლებრივ ლიტერატურაში შესაძლებელია წავაწყდეთ გარკვეულ დეტალებთან მიმართებით სიმწირეს. ერთობლივი შეფასება კი შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ იქნას გაგებული ჯანმრთელობის ხელყოფის შესაბამისად მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის არსი.

## II. ჯანმრთელობის ხელყოფის ცნება

### 1. ჯანმრთელობის უფლება და მისი ცნება

ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ საკითხის უკეთ გაგებისთვის, გონივრულია მისი დეფინიციის განსაზღვრა. ვინაიდან წინასწარ იქნება გაანალიზებული ის სიკეთეები, რომლებსაც ჯანმრთელობის ცნება მოიცავს.

ადამიანი, როგორც სხვადასხვა ნორმატიული მასალით განმტკიცებული უფლებაუნარიანი სუბიექტი სარგებლობს არაერთი უფლებით. დამოუკიდებლად ჩვენი ასაკისა, სქესისა, სოციოლოგიურ-ეკონომიკური თუ ეთნიკური ფაქტორისა, ადამიანის ჯანმრთელობა მიჩნეულია, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივი.<sup>3</sup> კონკრეტული უფლებების არსებობა განაპირობებს იმ არეალს, რომელშიც დღესდღეისობით სხვადასხვა ადამიანი ახორციელებს სხვადასხვა სახის საქმიანობას. უფლებათა არსებობა და არ არსებობა განაპირობებს სხვადასხვა სახის სამართლებრივ შედეგებს. საქართველოს კონსტიტუცია არაერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას ითვალისწინებს, რომელთაგან აღსანიშნავია ჯანმრთელობის უფლება.<sup>4</sup> ჯანმრთელობის უფლების არსი ორიენტირებულია ადამიანის სხვადასხვა მაჩვენებელზე: ადეკვატური პროგრესი, მიღწევების შენარჩუნება, თანაბარუფლებიანობა, ტექნიკური და ფინანსური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, როგორც ინდივიდუალურად ასევე კოლექტიურად. აღნიშნულის მისაღწევად კი სხვადასხვა სამართლებრივ სფეროში უნდა არსებობდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტები, რომლებიც ზემოთ ხსენებულის დაცვას უზრუნველყოფს და ხელს შეუწყობს.<sup>5</sup>

ჯანმრთელობა, როგორც ადამიანის უფლება 1946 წლიდან აღიარებულია ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებად სხვა უფლებებს შორის. მისი არსებობა დამოუკიდებელია რასის, რელიგიის, პოლიტიკური რწამსის, ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობისა.<sup>6</sup> მისი ხელყოფის შედეგად შესაძლებელია შეიზღუდოს ბევრი სხვა მნიშვნელოვანი უფლება, რომლებიც ასევე კონსტიტუციით არიან განმტკიცებულნი. მათ შორის შესაძლებელია

<sup>3</sup> *World Health Organization, The Right to Health, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, Fact Sheet No. 31, ივ. ბმულზე:*

<https://www.ohchr.org/Documents/Publications/Factsheet31.pdf>, [ვიზიტის დრო: 20.6.2019]

<sup>4</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 28.

<sup>5</sup> *Aparecida A. V. A./ Jussara M. M./ Marjore S. S. J./ Mendes I. A. C., Health, Human and Sustainable Development, International Journal of Social Science Studies, Vol. 4, No. 2, February 2016, 26.*

<sup>6</sup> *World Health Organization, Constitution of The World Health Organization, October 2006, 1.*

მოიაზრებოდეს შრომის თავისუფლება<sup>7</sup>, განათლების უფლება,<sup>8</sup> და ა.შ. ბუნებრივია შეზღუდვაში არ მოიაზრება სახელმწიფოს მხრიდან მისი უზრუნველყოფისთვის არასათანადო ღონისძიებების არგატარება, არამედ მოიაზრება ის არასასურველი შედეგები, რომლებიც ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგად მიადგა ადამიანს და მას ხელი ეშლება სხვა უფლებებით სარგებლობაში. ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგად შესაძლებელია შეიზღუდოს ადამიანის შესაძლებლობა იაროს სკოლაში ან სამსახურში, მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა აქტივობებში, იკისროს ის პასუხისმგებლობები, რომლებსაც ნორმალური ჯანმრთელობის პირობებში სხვა ადამიანი იკისრებდა. ადამიანის ჯანმრთელობის დეფინიციის ერთიანი განმარტება არ არსებობს და მას სხვადასხვაგვარად აწესრიგებს სხვადასხვა ქვეყნის შიდა სამართალი, ასევე სხვადასხვა სამართლებრივი სისტემები (ანგლო-ამერიკული სამართალი, კონტინენტური ევროპის სამართალი) და საერთაშორისო აქტები.<sup>9</sup>

ჯანმრთელობის დაცვის უფლების შესახებ საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველ ნაწილში განმარტებულია, რომ მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შესახებ უზრუნველყოფილია კანონით. სახელმწიფო საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ აყენებს ჯანმრთელობის უფლებას და სხვადასხვა ნორმატიული მასალით აწესრიგებს<sup>10</sup> მის დაცვას და იმ უფლება-მოვალეობებს, რომლებიც სხვადასხვა მხარეს, სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობის ეტაპზე გააჩნია.

ჯანმრთელობის ზუსტი დეფინიცია საქართველოში მოქმედი ნორმატიული მასალით არ არის ზუსტად განსაზღვრული, თუმცა საგულისხმოა ა ის განმარტება, რომელიც მასთან დაკავშირებით მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას აქვს გამოყენებული. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჯანმრთელობის უფლების დაცვის გარანტიად 18 სხვადასხვა ეროვნული კანონი გვევლინება.<sup>11</sup> თითოეული მათგანი როგორც

<sup>7</sup> იქვე, მუხლი 26.

<sup>8</sup> იქვე, მუხლი 27.

<sup>9</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ, პაციენტთა უფლებების ევროპული ქარტია.

<sup>10</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი;

პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონი;

სისხლის სამართლის კოდექსი და ა.შ..

<sup>11</sup> კვანტალიანი ნ., პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის

სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2014, 7.

დამოუკიდებლად, ასევე ერთობლივად ახდენენ ქვეყნის ღია ინტერესების დეკლარირებას საერთაშორისოდ აღიარებულ აქტებთან.<sup>12</sup>

1948 წლის ადამიანის უფლებათა დეკლარაცია ასევე განსაზღვრავს ჯანმრთელობას, როგორც ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტს.<sup>13</sup> მისი, როგორც ადამიანის უფლების განსაზღვრება ასევე გვხვდება 1966 წლის ეკონომიკის, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ შეთანხმებაში.<sup>14</sup>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის ბრძანება ითვალისწინებს ორგანიზმის ძირითადი ფუნქციების დარღვევის საკითხს, რომელიც მოიაზრებს, აღქმის ფუნქციას, ყურადღების, მეხსიერების, აზროვნების ემოციის, მეტყველების შესაძლებლობას. თითოეული მათგანის შეზღუდვა შესაძლებელია მივიჩნიოთ, როგორც ჯანმრთელობისთვის აუცილებელი ფუნქციისთვის ზიანის მიყენებად.<sup>15</sup>

სხვადასხვა სამართლებრივ ლიტერატურაში გაზიარებულია ჯანმრთელობის ცნების ის დეფინიცია, რომელიც განსაზღვრულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კონსტიტუციის პრეამბულით - „სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობა და არა უბრალოდ სნეულების ან უძულურების არარსებობა“.<sup>16</sup> არსებული განმარტება შესაძლებლობას გვაძლევს და გვიმარტივებს იმ სიკეთეების წარმოდგენას თუ კონკრეტულად რას შეიძლება მიაღვეს ზიანი, როდესაც საუბარი ეხება ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფას.

ტერმინ - „ჯანმრთელობაში“ ვფიქრობ ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაშიც და სასამართლო გადაწყვეტილებებშიც გაზიარებულია მოსაზრებები, რომელთა თანახმად ის ორი მთავარი ნაწილისგან შედგება - ადამიანის ბიოლოგიური კეთილდღეობისგან, და ფსიქოლოგიური (მენტალური) მდგომარეობისგან. ასევე პერიოდული თვალსაზრისით საყურადღებოა ის ფაქტი, თუ რომელი სახის ზიანი დგება თავდაპირველად და რომელი არასასურველი პროცესი, რომლის თანმდევიცაა პრაქტიკული

<sup>12</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, პაციენტთა უფლებების ევროპული ქარტია და სხვ.

<sup>13</sup> Universal Declaration of Human Rights, Article 25, იხ. ბმულზე: <[https://www.un.org/en/udhrbook/pdf/udhr\\_booklet\\_en\\_web.pdf](https://www.un.org/en/udhrbook/pdf/udhr_booklet_en_web.pdf)>, [ვიზიტის დრო: 27.6.2019].

<sup>14</sup> 1966 International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, 1, იხ. ბმულზე: <<https://www.ohchr.org/Documents/ProfessionalInterest/cescr.pdf>>, [ვიზიტის დრო: 26.6.2019].

<sup>15</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანება შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ.

<sup>16</sup> Constitution of the World Health Organization, Forty-fifth edition, Supplemental, October 2006, 1-3, იხ. ბმულზე: <[https://www.who.int/governance/eb/who\\_constitution\\_en.pdf](https://www.who.int/governance/eb/who_constitution_en.pdf)>, [ვიზიტის დრო: 20.6.2019]



გაგებით აღნიშნულ საკითხს და მის გამიჯვნას ენიჭება უზარმაზარი პროცედურული დატვირთვა, ვინაიდან სხვადასხვა სამართლებრივი ოჯახები, მათ შორის ანგლო-ამერიკული და ასევე კონტინენტური ევროპისა, განსხვავებულად არეგულირებენ არამატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხის საფუძვლებს.<sup>17</sup>

## 2. ხელყოფა

ჯანმრთელობის ცნების ქვეშ ნაგულისხმევი სიკეთეების განსაზღვრების საფუძველზე, შეგვიძლია ნათლად დავასკვნათ თუ რა მოიაზრება ჯანმრთელობის ხელყოფაში. საყურადღებოა საკითხის მიმართ არსებული ნორმატიული მასალა განხილული იქნას იმ სასამართლო გადაწყვეტილებების პარალელურად, რომლებიც საქართველოში გასული წლების განმავლობაში მოიპოვება. აღნიშნულის შედეგად შესაძლებელია უკეთ იქნას გაგებული იმ ნორმატიული საფუძვლების მიზნობრიობა, რომლის ასახვაც სხვადასხვა აქტებში კანონმდებლის მიერ გადაწყდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე კარის პირველი თავი, რომელიც დელიქტურ ვალდებულებებს აწესრიგებს და ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის მეოთხე კარი, რომელიც სახელმწიფოებო ზიანის ანაზღაურებას ეხება, ერთიანობაში განსაზღვრავენ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლებს. აღნიშნულ თავებში არსებული მუხლები განსაზღვრავს ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობას და მის ფარგლებს, ასევე მოცულობას და ზიანის ანაზღაურების ხასიათს.

ხელყოფა შესაძლებელია გამოხატული იქნას ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს ადამიანის სხეულისა და ჯანმრთელობის მნიშვნელობას და მას იმავე მნიშვნელობით აღიქვავს, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლი.<sup>18</sup> ჯანმრთელობის დაზიანების დროს საყურადღებოა სხვადასხვა სახის ზიანი, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის სხეულთან. *კროპკოლერის თქმით*, სხეულის დაზიანება

<sup>17</sup> დეტალურად იხილეთ თავი:VIII, ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგად, არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ კონტინენტური ევროპის ქვეყნებში განვითარებული სამართლებრივი დოქტრინა.

<sup>18</sup> *Wagner*, in *Münchener Kommentar zum BGB*, 6. Aufl. 2013, § 823 Rn. 113, მითითებულია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარებში, *რუსიაშვილი გ.*, თბილისი, 2017, 3 მიხედვით.

შესაძლებელია იყოს როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური. ფიზიკურ დაზიანებაში იგულისხმება ადამიანის სხვადასხვა ორგანოთა ზიანი, რომელიც შესაძლებელია მიყენებული იქნას, ფიზიკური ზემოქმედების შედეგად ან სხვადასხვა ბიოლოგიური საფუძვლებით. ხოლო ფსიქიკურში შესაძლებელია მოიაზრებოდეს შოკის შედეგად მიყენებული ზიანი.<sup>19</sup> ზიანი შესაძლებელია ასევე მიადგეს ჩანასახის ჯანმრთელობას.

საყურადღებოა საქართველოს კანონი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ, რომელიც აღნიშნავს, რომ სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების შესაბამისად პირს შესაძლოა დაუდგინდეს ქმედუნარიანობის შეზღუდვა, ანუ ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ადამიანის საქმიანობის ნორმიდან გადახრა. ამ ყველაფრის ანალიზის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ ჯანმრთელობის ხელყოფამ შესაძლოა წარმოშვას პირის ქმედუნარიანობის შემცირება, რაც იწვევს სხვადასხვა უნარისა თუ შესაძლებლობის შეზღუდვას.<sup>20</sup> მათ შორის შეიძლება მოიაზრებოდეს, სწავლის, ურთიერთობის, გადაადგილების, ორიენტაციის და შრომითი საქმიანობის უნარი. საყურადღებოა იმის აღნიშვნაც, რომ ჯანმრთელობის სხვადასხვა სახით დაზიანება სხვადასხვა შედეგს წარმოშობს, როგორც ადამიანის ბიოლოგიური/ფსიქიკური მდგომარეობის მიმართ, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისითაც. კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას შეუძლია მიაყენოს კონკრეტული ზიანი მოქალაქის ამა თუ იმ ორგანოს და ხელი შეუშალოს მის გამართულ ფუნქციონირებას, რომლის საწყის ეტაპზე დაბრუნების შესაძლებლობა შენარჩუნებულია და ასევე არსებობს ისეთი სახის ზიანი, რომელიც მსგავს შესაძლებლობას სპობს და შეუძლებელი ხდება საწყისი მდგომარეობის დაბრუნება/აღდგენა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აღნიშნულ შემთხვევებს სხვადასხვაგვარად არეგულირებს, რაც ნაშრომის შემდეგ თავებში იქნება დეტალურად განხილული. ქმედუნარიანობა შესაძლებელია შეიზღუდოს დროებით ან სამუდამოდ. მასში მოიაზრება როგორც, ფიზიკური ასევე ფსიქიკური, ინტელექტუალური და/ან სენსორული დარღვევები.<sup>21</sup> ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს ითვალისწინებს ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XX თავი, რომელიც მოქმედებათა რიცხვში მოიაზრებს სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო აქტს, მაგალითად ძალადობა, რომელიც იწვევს

<sup>19</sup> კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 630.

<sup>20</sup> საქართველოს კანონი „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“, 2001 წლის 7 დეკემბერი, თბილისი.

<sup>21</sup> იქვ. მე-10 მუხლი.

დაზარალებულის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას ან სხვა სახის ავადმყოფობას.<sup>22</sup>

## 1. მორალური ზიანის დეფინიცია

ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში მორალური ზიანის სინონიმებად სხვადასხვა ფრაზები გამოიყენება, რომელთა შორისაა „არაქონებრივი ზიანი“ „არამატერიალური ზიანი“, თუმცა სხვადასხვა სამართლებრივი სისტემები და სხვადასხვა ქვეყნების შიდა სამართლებრივი კანონმდებლობა არ აყალიბებს იდენტურ, ზუსტ განსაზღვრებას. მიუხედავად ამ ფაქტისა, მათი უმრავლესობა თითქმის ერთგვარ განმარტებას სთავაზობს მცირე განსხვავებებით. ცნების წარმოდგენის სირთულის გამო, ევროკავშირის წევრი ქვეყნები მას განიხილავენ ზოგად ჭრილში, და მიიჩნევენ, რომ ის წარმოადგენს ქონებრივი ზიანის საპირისპირო მოვლენას და არამატერიალურ ზიანად განიხილება ისეთი სახის ზიანი, რომლის კალკულაცია უშუალოდ ფულით არ არის შესაძლებელი.<sup>23</sup> კონტინენტური ევროპის სამართლებრივი სისტემის სხვა წევრი ქვეყნები მორალურ ზიანს განმარტავენ, როგორც ზიანს, რომლის შედეგად არ წარმოშობილა პირდაპირი ეკონომიკური ზიანი, მაგრამ გამოიწვია დაზარალებულის ფსიქოლოგიური მდგომარეობის არასასურველი მიმართულებით შეცვლა. ანაზღაურების საკითხი ამ შემთხვევაში სუბიექტურად განიხილება.<sup>24</sup>

მორალური ზიანი არ შეიძლება დაკავშირებული იყოს იმ სახის ზიანთან, რომელიც სამოქალაქო-სამართლებრივი სუბიექტის ქონებას ან მის შემოსავალს ეხება. გამომდინარე აქედან, ის ზიანის ფართო არეალს მოიცავს, მათ შორის სხეულის ხელყოფას და სულიერი ჯანმრთელობის დაზიანებას, რომელიც თავის მხრივ, შესაძლოა გამოხატული იყოს მშფოთვარებაში ან სხვაგვარ სულიერ ტანჯვაში.<sup>25</sup>

მორალური ზიანი (*pretium doloris or pecunia doloris*) არის შინაგანი გამოხატულება, რომელიც ასახავს ჰპოვებს სულიერი მდგომარეობის გაუარესების სახით და რომელიც გამოწვეულია კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით (*non iure per turbatio*).<sup>26</sup> ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესება

<sup>22</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წლის 22 ივლისი, თბილისი.

<sup>23</sup> *Wurmnest W.*, Grundzüge eines europäischen Haftungsrechts: eine rechtsvergleichende Untersuchung des Gemeinschaftsrechts, Tübingen, 2003, 287.

<sup>24</sup> *Parrellada C.*, El daño moral' in Aida Kemelmajer de Carducci (Ed.) Responsabilidad Civil, 2007, 346.

<sup>25</sup> *Dauti A.*, Compensation for Immaterial (Moral) Damage Due to Violation of Personality Rights in Kosovo, ACTA UNIVERSITATIS DANUBIUS, Vol. 13, No. 3/2017, 104.

<sup>26</sup> The Law on Obligational Relations of Kosovo, 2012.

ასევე შესაძლებელია გამოხატული იქნას ნეგატიური განცდების ან შეგრძნებების სახით.<sup>27</sup>

მორალური ზიანის ცნების განმარტებას ასევე ვხვდებით რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პლენუმის განმარტებაში, რომლის მიხედვით მორალური ზიანი წარმოადგენს სულიერ და ფიზიკურ ტანჯვას, რომელიც განპირობებულია მოქმედებით ან უმოქმედობით. აღნიშნულის შედეგად კი ილახება პიროვნების არაქონებრივი უფლებები.<sup>28</sup>

### III. მორალური ზიანის ანგლო-ამერიკული სამართლისა და კონტინენტური სამართლის მიხედვით კომპარატიული შედარება

“... cicatricium autem aut deformitatis nulla fit aestimatio, quia liberum corpus nullam recipit aestimationem”. -გაიუსი<sup>29</sup>

მიუხედავად ზემოთხსენებული ფრაზის შინაარსისა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში საკმაოდ აქტუალურად მიიჩნეოდა, დღევანდელ რეალობაში ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით საკითხი აბსოლუტურად განსხვავებულია. მორალური ზიანის ანაზღაურების პრეცედენტების არაერთი შემთხვევა არსებობს, რაც ხელს უწყობს სამართლებრივი დოქტრინის განვითარებას, და იმ ნორმების შინაარსის გაგებას, რომლებიც მორალური ზიანის ანაზღაურებას არეგულირებს. აღნიშნული სასამართლო პრეცედენტები და ის მოსაზრებები, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებებში გვხვდება, განხილული იქნება ნაშრომის შემდეგ თავებში.<sup>30</sup>

მორალური ზიანის ანაზღაურების ისტორია საკმაოდ დიდ ხნის წინ იწყება და ითვალისწინებს საინტერესო მიდგომებს, რომლებიც მაშინ იყო დამკვიდრებული.

<sup>27</sup> Эрделевский А., Компенсация морального вреда: анализ и комментарий законодательства и судебной практики, 3-е издание, исправленное и дополненное, 2007, 1.

<sup>28</sup> Табунщиков А. Т., Компенсация морального вреда в России и за рубежом: Многоаспектность проблемы, 2009, 2, იბ. ბმულზე: <<https://bit.ly/2Xq5tlv>> [ვიზიტის დრო: 02.06.2019].

<sup>29</sup> “არ შეიძლება განისაზღვროს ჭრილობებისა და დაზიანებების ფასი, ვინაიდან ადამიანი არ წარმოადგენს ფულადი შეფასების ობიექტს”, იბ. გაიუსი, The Digest of Justinian, Vol. 1, University of Pennsylvania Press, Philadelphia 1909, დიგესტი: 9-3-7, 296, იბ. ბმულზე: <[http://nbls.soc.srce.net/files/files/Civil%20II/Texts/Digest%20of%20Justinian,%20Volume%201%20\(D.1-15\).pdf](http://nbls.soc.srce.net/files/files/Civil%20II/Texts/Digest%20of%20Justinian,%20Volume%201%20(D.1-15).pdf)>, [ვიზიტის დრო: 28.6.2019]

<sup>30</sup> იხილეთ თავი: VII-ჯანმრთელობის ხელყოფის შესაბამისად არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

## 1. მცირე ისტორიული მიმოხილვა

ჰამურაბის კანონების მიხედვით განსაზღვრული იყო კონკრეტული ოდენობის ფულადი გადასახადი იმ შემთხვევაში თუ სრულუფლებიანი მოქალაქე სილას გააწნავდა სხვა, მის თანასწორ პირს.<sup>31</sup> მართალი აღნიშნული ქმედება დღევანდელი სამართლებრივი ასპექტების გაანალიზებით შესაძლებელია შეფასდეს, როგორც პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის უფლების დარღვევად, თუმცა თავად ფაქტის არსებობა მიუთითებს მორალური ზიანის ანაზღაურების მნიშვნელობაზე. ჰამურაბის კანონებში მსგავსი ჩანაწერის არსებობა ასევე გვამღვებს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ მორალური ზიანის ანაზღაურებას საზოგადოება სხვადასხვა ეპოქაში უთმობდა ყურადღებას და მნიშვნელოვანი როლი ეკავა კანონმდებლობაშიც. მართალია, აღნიშნული დანაწესი არ ვრცელდებოდა არაუფლებიან პირებზე, მაგალითად მონა. მაგრამ აღნიშნული საკითხი განხილვის თემას შორდება. მონებთან დაკავშირებით საინტერესოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ძველ ეგვიპტეში მოქმედი სამართლის მიხედვით, თუ მას შეურაცხყოფას მიაყენებდნენ და სასტიკად მოექცეოდნენ, უფლება ჰქონდა ეჩივლა თავისი მესაკუთრისთვის და თავი შეეფარებინა ტაძრისთვის, სადაც მასზე ბატონობას ვეღარ განახორციელებდა ყოფილი მესაკუთრე.<sup>32</sup>

რომის სამართალი მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხს ანტიკური სამართლის სისტემებს შორის ყველაზე დეტალურად აწესრიგებდა. პასუხისმგებლობის სხვადასხვა ტიპები განსაზღვრული იყო ტაბულებით, რომელთაგან მე-8 ითვალისწინებდა შეურაცხყოფის გამო დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურებას. მორალური ზიანის ასანაზღაურებელ მოცულობას მაშინდელი სასამართლო განსაზღვრავდა.<sup>33</sup>

ევროპელი იურისტები მიიჩნევენ, რომ ზარალი, ზოგადი გაგებით, ქონებრივი ან არაქონებრივი ხასიათისაა, რაც საშუალებას იძლევა ითქვას, რომ მიყენებული ზარალის ტიპის მიხედვით შესაძლებელია მოთხოვნილი იქნას ანაზღაურება, როგორც ქონებრივი ზიანის, ასევე არაქონებრივი ზიანის. მაშინ როდესაც ქონებრივი ზიანის ანაზღაურება არის მეტად უფრო მარტივი და მოხერხებული გამოანგარიშების თვალსაზრისით, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ეტაპზე საკითხი უფრო მეტ პრობლემასთანაა

<sup>31</sup> დოდაძე ლ., არაქონებრივი (მორალური) ზიანი გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010, 86-99.

<sup>32</sup> მონიავა თ., პირადი არაქონებრივი უფლებები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, სამართლის ჟურნალი №1, თბილისი 2017, 14.

<sup>33</sup> იქვე.

დაკავშირებული. აღნიშნულ შინაარსობრივ განსხვავებას თანამედროვე ეპოქაში მოღვაწე იურისტები ძირითად შემთხვევებში ამყარებენ იმ საფუძველზე, რომ თავად ტერმინოლოგიური გაგებით ორივე ცნება დესკრიპციულ შინაარსს ატარებს.<sup>34</sup> მე-19 საუკუნემდე მსგავსი დამოკიდებულების არსებობა აღნიშნულ ფაქტის მიმართ არ არსებობდა და კონცეფციები არ იყო დოქტინალურად განსაზღვრული, როგორც სამართლებრივი კატეგორიები.<sup>35</sup>

#### IV. ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების ზოგადი სამართლებრივი საფუძვლები

##### 1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი ზიანის ცნების ქვეშ მოიაზრებს, როგორც ქონებრივ ზიანს, ასევე არაქონებრივ ზიანს. სამართლებრივ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა არამატერიალური ზიანის ცნებაში მოსაზრებულ თემასთან დაკავშირებით. *ცერცვაძე* მიიჩნევს, რომ არამატერიალური ზიანი უნდა იყოს დაყოფილი ქონებრივი და არაქონებრივი ხასიათის ზიანად. თუმცა მეტად ლოგიკურად უნდა იქნას მიჩნეული მისი ამგვარი დაყოფის გარეშე განხილვა.<sup>36</sup> მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები 413-ე მუხლში მსგავსია გერმანული სამოქალაქო კოდექსის 253-ე პარაგრაფისა,<sup>37</sup> რაც ბუნებრივია იქიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კოდიფიცირების დროს გაზიარებული იყო გერმანული სამართლის მოდელი. ორივე ქვეყნის დანაწესი ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაზიანების აუცილებლობას, რათა შესაძლებელი იყოს წარმოიშვას მორალური ზიანის ანაზღაურება.

##### 1.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მიზანი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით განსაზღვრულია ზიანის ანაზღაურების საკითხი არაქონებრივი ზიანისთვის.<sup>38</sup> კონკრეტულად მუხლის დანაწესით განსაზღვრული საკითხის განხილვამდე საინტერესოა განხილული იქნას ის მიზანი, რომელსაც აღნიშნული მუხლი ემსახურება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალ კომენტარებში გაზიარებულია მოსაზრება, რომლის თანახმად, დაზარალებული პირისთვის მიყენებულ

<sup>34</sup> *Palmer V. V.*, *The Recovery of Non-Pecuniary Loss in European Contract Law*, Cambridge University Press, 2015, 23.

<sup>35</sup> იქვე, 23.

<sup>36</sup> *ცერცვაძე გ. / ძლიერიშვილი ზ. / რობაქიძე / სვანაძე გ., ცერცვაძე ლ. / ჯანაშია ლ.*, *სახელმწიფო სამართალი*, თბილისი 2014, 662-663.

<sup>37</sup> *კროპპოლერი ი.*, *გერმანიის სამოქალაქო კოდექსი*, სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 253-ე პარაგრაფი.

<sup>38</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, 413-ე მუხლი.

სულიერ ტკივილს არ გააჩნია ფულადი ექვივალენტი.<sup>39</sup> მიზნობრიობის შესახებ ერთიანი მიდგომა არ არის ჩამოყალიბებული ავტორთა შორის და ის კამათის საგანს წარმოადგენს. სასამართლო გადაწყვეტილებებში ვხვდებით განმარტებებს, რომელთა მიხედვით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ჩვეულებრივი, სხვა სახის ზიანის ანაზღაურების იდენტური მახასიათებლებით არ ხასიათდება.<sup>40</sup> აღნიშნული განსხვავება გამომდინარეობს ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიმართ დაზარალებულის ორი სხვადასხვა სახის მოთხოვნიდან. პირველი, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დაუბრუნდეს საწყისს, რომელშიც მოიაზრება პირაზნდელი მდგომარეობის აღდგენა და მეორე, რომლის მიხედვით დაზარალებულ პირს სურს მიიღოს გარკვეული ოდენობის ფულადი კომპენსაცია სულიერი ტკივილის დადებითი ემოციით შეცვლისათვის.<sup>41</sup>

ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში გაზიარებულია დამოკიდებულება, რომლის თანახმად მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს. მტკიცების ეტაპზე დადასტურებული უნდა იქნას:

- 1) ზიანის მიყენება;
- 2) უფლება, რომელიც შეილახა;
- 3) რა სახით გამოვლინდა მოსარჩელის ფსიქიკური ან ფიზიკური ტანჯვა;
- 4) ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხი (ისეთ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნულის გათვალისწინება რელევანტურია);
- 5) კომპენსაციის ოდენობა, რომელიც დარღვეული უფლების შესაბამისად არის მოთხოვნილი;<sup>42</sup>

---

<sup>39</sup> *რუსიაშვილი გ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარი, 2017, იხ. ბმულზე: <<https://bit.ly/2KYnQeQ>>, [1.6.2019].

<sup>40</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 აპრილის №ას-1477-1489-2011 განჩინება.

<sup>41</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 19 მაისის №ას-998-956-2013 განჩინება;

2013 წლის 8 ნოემბრის №ას-370-352-2013 განჩინება;

2009 წლის 9 ნოემბრის №ას-823-1109-09 განჩინება;

2010 წლის 22 ნოემბრის №ას-868-817-2010 განჩინება;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 აგვისტოს №2/ბ-614 განჩინება(4.25.).

<sup>42</sup> *თოდუა მ., ქურდაძე შ.*, ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, თბილისი, 2005, 70.

1.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები და საფუძვლები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი და მეორე მუხლები შესაძლებელია ითქვას, რომ დამოუკიდებლად და ამავდროულად ერთობლივად ნათლად გადმოსცემს იმ დამოკიდებულებას, რომელიც კანონმდებელს სურდა განესაზღვრა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიმართ.

პირველ რიგში, საყურადღებოა ის ჩანაწერი, რომლის მიხედვით არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში არის შესაძლებელი. საინტერესოა, რას ემსახურება აღნიშნული დანაწესი. კანონმდებელმა გონივრულად განსაზღვრა ისეთი შემთხვევები, როდესაც საქართველოში მოქალაქეებს არ ენიჭებათ უფლება მოითხოვონ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მათთვის სასურველ ნებისმიერ შემთხვევაში. ჩემი აზრით, ჩანაწერი გონივრულია, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, აღმასრულებელი ინსტანციები შესაძლებელია აღმოჩენილიყვნენ ისეთ მდგომარეობაში, რომლის დროსაც მათ ყოველდღიურ რეჟიმში მოუწევდათ უამრავი ისეთი დავის განხილვა, სადაც მოსარჩელე ნებისმიერი საფუძვლით იდავებდა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

ვინაიდან, განსახილველი თემა უშუალოდ ეხება სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შესაბამისად არაქონებრივი ზიანის მოთხოვნას, უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სამართლებრივი სიკეთის დაზიანება. სამართლებრივი სიკეთის ცნების ქვეშ კი ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეგვიძლია მოვიაზროთ ადამიანის სხეული ან/და ჯანმრთელობა. ჯანმრთელობის დეფინიციის განმარტება სწორედ ამ ეტაპზე იძენს მნიშვნელობას, და მკითხველისთვის მეტად გასაგები ხდება ის ობიექტი, რომელზეც მუხლის მოქმედება ვრცელდება.

სამართლებრივ ლიტერატურაში ვხვდებით მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მოსაზრებას, რომლის თანახმად კომპენსაციის სახით უფლების მსგავსი სახით დაცვა შემოფარგლულია ორი ძირითადი გარემოებით:

1. მორალური ზიანის კომპენსაციის შესაძლებლობის მოთხოვნის წამოყენების უფლება გააჩნიათ კონკრეტულ მოქალაქეებს, ვინაიდან იურიდიული პირები ფიზიკურად ვერ განიცდიან ზნეობრივ თუ სხვა სახის სულიერ ტკივილს;



2. დარღვეული უფლებებს, ზოგადი წესის მიხედვით უნდა გააჩნდეთ პირადი არაქონებრივი ხასიათი.<sup>43</sup>

ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში განხილულია ასევე მორალური ზიანის ანაზღაურების ფუნქციები.<sup>44</sup> პროფესორი ნინიძე გამოყოფს სამ ძირითად ფუნქციას. პირველი ფუნქციის მიხედვით აღნიშნული ინსტიტუტი უზრუნველყოფს დაზარალებული პირის კმაყოფილებას. მეორე ფუნქცია გულისხმობს ზიანის მიმყენებელზე ზემოქმედების მოხდენას, ხოლო მესამე ფუნქციის მიხედვით თავიდან უნდა იქნეს აცილებული პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. ვფიქრობ, აღნიშნული მოსაზრება, ზოგადად არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიმართ არის გადმოცემული, თუმცა ჯანმრთელობის ხელყოფის შემთხვევაზეც შეგვიძლია იდენტური აზრი გავავრცელოთ.

საინტერესოა ასევე ის დეტალი, რომ სსკ-ის 413-ე მუხლის მეორე პუნქტში არ არის ნახსენები სიცოცხლის ხელყოფის შესაბამისად არაქონებრივი მოთხოვნის წარმოშობის საკითხი. გამომდინარე აქედან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კანონმდებლობით სიცოცხლე არ არის განხილული დაცულ სიკეთედ, რომლის თანახმად გარდაცვალებულის ახლობლებს წარმოეშვებათ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ბუნებრივია ამ შემთხვევაში ნათელია ის განსხვავებები და სამართლებრივი შედეგები, რომლებიც თავად ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევაში დგება.

V. ჯანმრთელობის ხელყოფის შესაბამისად მორალური ზიანის მოთხოვნის განსხვავებული საფუძვლები და წინაპირობები ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად

კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნების უმრავლესობისგან განსხვავებით, რომლებიც ჯანმრთელობის ხელყოფის მიხედვით მორალური ზიანის ასანაზღაურებელ აუცილებელ ერთ-ერთ პირობად მიიჩნევენ უშუალოდ ჯანმრთელობის ხელყოფის არსებობის ფაქტს,<sup>45</sup> ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში საკითხს განსხვავებულად განიხილავენ.

<sup>43</sup> გალდავა გ., სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სამართლის ჟურნალი №1, 2009.

<sup>44</sup> ნინიძე თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 1999, 74.

<sup>45</sup> იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

ამერიკის შეერთებულ შტატებში არაქონებრივი და ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხი ჯერ კიდევ ამერიკის რევოლუციას უძღვოდა წინ. ინგლისში 17-ე საუკუნიდან მე-18-მდე არსებობდა ჩანაწერები, რომელთა მიხედვით ზოგიერთი ზიანი არ ექვემდებარებოდა ანაზღაურებას სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, თუმცა მაინც ხდებოდა მათი ანაზღაურება.<sup>46</sup> ანაზღაურების საკითხი ხშირად არ იყო კლასიფიცირებული და არც ის წარმოადგენდა მარტივ საკითხს, ერთმანეთისგან ყოფილიყო გამიჯნული ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული ზიანი და სხვა სახის ჩვეულებრივი ზიანი, რომელიც ანაზღაურებას ექვემდებარებოდა საერთო დოქტრინული წესით. ასეთი შემთხვევები განიხილებოდა, როგორც სხვა დელიქტური პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ზიანი. თუმცა 1800 წლიდან უკვე შეიმჩნეოდა ტენდენცია, რომლის მიხედვით სასამართლოები ინგლისშიც და ამერიკაშიც ყურადღებას ამახვილებდნენ კომპენსაციაზე, რომელიც გამოწვეული იყო „ტანჯვისგან“ და „ტკივილისგან“.<sup>47</sup> ამ პერიოდში გამძვინვარებულმა ინდუსტრიულმა რევოლუციამ მაშინდელი ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნები, კერძოდ ინგლისი და ამერიკის შტატები იძულებული გახადა მეტად დეტალური ყურადღება დაეთმო დელიქტური სამართლისთვის და შესაბამისად ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისთვის. ამასთან, ყურადღებას იმსახურებდა ასევე გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანის რეგულირება.<sup>48</sup> ამ პერიოდიდან მოყოლებული ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული არაქონებრივი ზიანის ასანაზღაურებელი ოდენობა იზრდებოდა და მატულობდა თავად მოთხოვნების რიცხვიც. ამასთან, ასანაზღაურებელი ოდენობა გამომდინარეობდა, როგორც გაუფრთხილებლობით გამოწვეული ჯანმრთელობის ხელყოფის შესაბამისად, ასევე დამოუკიდებლად იმ მოთხოვნებისა, რომლებიც არ ითვალისწინებდა გაუფრთხილებლობის ფაქტს, თუმცა მაინც დგებოდა ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევები.<sup>49</sup>

ჯერ კიდევ საუკუნის წინ პროფესორი ბოლენი აღნიშნავდა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების უმრავლესობაში არსებობდა სერიოზული კონფლიქტი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დროს ფიზიკური ზემოქმედების

---

<sup>46</sup> იხ. *O'Connell and R.J. Simon*, "payment for Pain & Suffering: Who Wants What, When & Why", 1972, U. III. I. Rev., 1, 90-91.

<sup>47</sup> იქვე, 92-93.

<sup>48</sup> *White G.E.*, Tort Law in America: An Intellectual History by G. Edward White, American Bar Foundation Research Journal Vol. 5, No. 3, Summer, 1980, 614-617.

<sup>49</sup> *Keeton W.P.*, "Prosser and Keeton on the law of Torts, 5<sup>th</sup> ed., St-Paul, West Publishing Co., 1984, 8-12.

ნიშნის არსებობის შესახებ. საკმაოდ იყო იმ ეფექტის შეფასება, რომელიც შესაძლოა გამოხატული ყოფილიყო შიშის ან ნევრული შოკის სახით.<sup>50</sup>

ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახი ისტორიულად ახდენდა ლიტერატურაში იმის დემონსტაციას, რომ საჭირო იყო ფსიქოლოგიური ეკვილიბრიუმის ინტერესის სამართლებრივი აღიარება და დაცვა. სასამართლოები არგუმენტირებულად ამხვილებდნენ ყურადღებას იმ პერიოდში საკითხთან მიმართებით არსებულ სასამართლო პრეცედენტების სიმწირეზე, მტკიცებულებების ნაკლებობაზე, რისკზე იმისა, რომ მოსარჩელე არაობიექტურად აყენებდა თავის მოთხოვნებს. სასამართლო ასევე აღნიშნავდა მორალური ზიანის ანაზღაურების ფინანსური ფარგლების განსაზღვრაზე.<sup>51</sup>

ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში არსებულ ლიტერატურულ ჩანაწერებში და სასამართლო გადაწყვეტილებების კომენტარებში, აღინიშნებოდა, რომ დოქტრინა, რომელიც არეგულირებდა ჯანმრთელობის ხელყოფის შესაბამისად წარმოშობილი არამატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხს, საერთო ჯამში არა დამაკმაყოფილებელია. თუმცა აღინიშნება ისიც, მიუხედავად წარსულში არსებული გარკვეული პროგრესისა, მაინც საკმაოდ მრავლად არსებობს შეზღუდვები, რომლებიც უკავშირდება პირის შეუძლოდ ყოფნის მდგომარეობის შესაბამისად მორალური ზიანის ანაზღაურებას, რაც გამოწვეულია დოქტრინალური მსხვრევადი ბუნებით<sup>52</sup> და ასევე იმით, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი იმ პერიოდში წარმოადგენდა გარკვეულ სიახლეს სამართლებრივ სფეროში და მოკლებული იყო თვითდაჯერებულობას.<sup>53</sup>

არსებული მსჯელობა, რომელიც ნაშრომის ამ ქვეთავშია განხილული გამომდინარეობს და უკავშირდება, იმ მოსაზრებებს, რომლებიც განვითარებული იყო მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში და მის მიწურულს. საქართველოს მაგალითზე ნათელია და უდავოა ის საკითხი, რომ ჯანმრთელობის ხელყოფის შესაბამისად არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რეგულაციისთვის გეზი ევროპული სამართლისკენ აიღო და შეეცადა დაემკვიდრებინა ის მიდგომები, რომლებიც რამდენიმე ასწლეულის

<sup>50</sup> *Bohlen H. F.*, Right to Recovery for injury resulting from negligence without impact, Vol. 50 American Law Registers, 141.

<sup>51</sup> *Fleming G. J.*, "Distant shock in Germany (and elsewhere)", 20 American Journal of Comparative Law №485, 1972.

<sup>52</sup> *Fleming G. J.*, Distant Shock in Germany (and Elsewhere), The American journal of Comparative Law Vol. 20, Issue 3, July 1<sup>st</sup> 1972, 485-491, იხ. ბმულზე: <<https://academic.oup.com/ajcl/article-abstract/20/3/485/2194733>>, [16.6.2019]

<sup>53</sup> *Mullany N.*, Psychiatric injury and communications of trauma, in *Mullany and Linden*, Torts Tomorrow, 1998, 162, 164.

განამვლობაში ყალიბდებოდა კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახის წევრ ქვეყნებში. არსებული გეზის გათვალისწინებით საქართველოს უნდა გაეთვალისწინებინა ევროპაში დამკვიდრებული წესი და კერძო სამართალში უზრუნველყო პიროვნებისა და ინდივიდუალურობის უზრუნველყოფის საშუალებები.<sup>54</sup>

მიუხედავად ამ მიდგომისა გონივრულად უნდა იქნას შეფასებული ასევე ქართულ სამართალში დამკვიდრებული ის მიდგომები, რომლებიც არა კონტინენტური ევროპისთვის არის დამახასიათებელი, არამედ ასევე ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებისთვისაც. საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2013 წელს ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებამ<sup>55</sup>, მართალია მეტად დაახლოვა საქართველო ევროპულ სახელმწიფოებთან და იმ სტანდარტებთან, რომლებიც იქ არსებობს, თუმცა ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით, საქართველომ არაერთი საკანონმდებლო პროექტი უნდა განახორციელოს, მათ შორის იმ უფლებების დაცვის კუთხით, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებების დაცვასთან. უფლებათა რიცხვში, ბუნებრივია მოიაზრება ის უფლებები, რომელთა დარღვევის შემთხვევაში მოქალაქეს წარმოეშება არამატერიალური ზიანის ანაზღაურების უფლება. სწორედ ამ ეტაპზე, როდესაც საქართველოში არ არის ბევრი სამართლებრივი ურთიერთობა დამაკმაყოფილებლად რეგულირებული, ვფიქრობ, რომ არ იქნებოდა ურიგო გათვალისწინებული ყოფილიყო, ის უმნიშვნელოვანესი საფუძვლები, რომელთა აკარგვანობის განხილვას ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუ ინგლისში რამდენიმე ათწლეული მოხმარდა. რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანა იცავს ადამიანის ჯანმრთელობის უფლებას, და განსაზღვრავს იმ უფლებებს, რომლებიც მათ დასაცავად არის მინიჭებული, თუმცა საყურადღებოა ის მიდგომები და ხარისხი, რომლებიც მათ დასაცავად არის გამოყენებული.

ვფიქრობ, რომ გარდა კონტინენტურ სამართლის ოჯახში გავრცელებული მოსაზრებებისა, ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფის შესაბამისად ანგლო-ამერიკულ სამართლის ოჯახებში გავრცელებულ საფუძვლებს, რომლებიც არამატერიალური მოთხოვნის უფლებებს განსაზღვრავს.

---

<sup>54</sup> ბიჭია მ., პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, სამართლის ჟურნალი №1, თბილისი, 2017, 5, 29.

<sup>55</sup> იხ. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის.

როდესაც საქართველოში მოქმედი შესაბამისი ორგანოები შესაბამისი აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდებიან, გონივრული იქნება, თუ გათვალისწინებული იქნება ყველა ის გარემოება, რომლებიც ახალი საკანონმდებლო ინიციატივას შეიძლება თან ახლდეს.

#### 1. „საფრთხის ზონა“<sup>56</sup>

თავდაპირველად ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახის ქვეყნების სამართალიც ითვალისწინებდა აუცილებელ წინაპირობას, რომლის მიხედვით მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის აუცილებელი იყო ჯანმრთელობის ხელყოფის ფაქტის არსებობა, და ის ფსიქოლოგიური ტანჯვა, რომელიც ზემოთხსენებულ ფაქტს თან სდევდა.<sup>57</sup> თუმცა არ იყო გასული ზოგადად ამ ინსტიტუტის კანონიზაციიდან, როდესაც დადგინდა გამონაკლისების სახით განსხვავებულ შემთხვევებში მოთხოვნის წარმოშობის უფლება. ყველაზე ფართოდ გავრცელებულ გამონაკლისს წარმოადგენდა ე.წ. „საფრთხის ზონის“ წესი. აღნიშნულის წესის მიხედვით არ არის აუცილებელი მორალური ზიანის მოთხოვნის უფლების წარმოშობისათვის, რომ სუბიექტმა განიცადოს ფსიქოლოგიური თუ ბიოლოგიური ტკივილები და მიიღოს ჯანმრთელობის დაზიანება. საკმარისია არსებობდეს ზიანის პოტენციური მიმყენებელი, რომელმაც განახორციელა გაუფრთხილებელი მოქმედება და მომატებული რისკი ზიანის მიყენებისა, რომლის შედეგად შესაძლებელი იქნებოდა, რომ დამდგარიყო ჯანმრთელობის ხელყოფის ფაქტი. პარალელურად ამ ფაქტის წარმოშობისა მოსარჩელეს, ამ შემთხვევაში იმ პირს ვისაც სავარაუდოდ ზიანი მიადგებოდა, შესაძლოა წარმოშობოდა ფსიქიკური აღელვება და სტრესი. სტრესისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის ნეგატიური კუთხით ცვლილება კი უკვე მიიჩნეოდა მორალური ზიანის მოთხოვნის წარმოშობის საფუძვლად.<sup>58</sup>

საინტერესოა აღნიშნული ფაქტის არსებობა, როგორ ასახვას ჰპოვებდა ქართულ სამართლებრივ რეალობაში და რაც მთავარია შეფასების საგანს წარმოადგენს ის საკითხი, თუ რეალურად რა სიკეთის მოტანა შეუძლია მას მოქალაქეთათვის. პირველ რიგში საყურადღებოა ის რისკები, რომლებიც აღნიშნულის დანერგვას შეიძლება თან სდევდეს. მოსარჩელეს ასეთ

<sup>56</sup> Batalla v. State, 10 N.Y.2d 237, 1961. იხ. ბმულზე: < <https://bit.ly/2YQSDYp>>, [10.6.2019].

<sup>57</sup> Mitchell v. Rochester Ry. Co., 151 N.Y. 107, 45 N.E. 354, 1896, იხ. ბმულზე: < <https://www.lexisnexis.com/lawschool/resources/p/casebrief-mitchell-v-rochester-r-co.aspx>>, [16.6.2019].

<sup>58</sup> Camper v. Minor, 915, S.W.2d 437, 1996, იხ. ბმულზე: < <https://www.lexisnexis.com/lawschool/resources/p/casebrief-camper-v-minor-1164740783.aspx>>, [16.6.2019].

შემთხვევაში წარმოექმნებოდა საკმაოდ რთულად სამტკიცებელი გარემოებები, რომ დაესაბუთებინა ის სავარაუდო შედეგები, რომლებიც მსგავს გაუფრთხილებელ მოქმედებას მოჰყვებოდა. ნაშრომის შემდეგ თავში განხილული იქნება საკითხი თავად ჯანმრთელობის ხელყოფის შესაბამისად კომპენსაციის ოდენობის ანაზღაურების პრობლემატიკის შესახებ, თუმცა ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ როდესაც კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის სირთულე რეალურად არსებობს განსახილვევ ინსტიტუტთან მიმართებით, მაშინ, რამდენად უფრო გამარტივდება თუ გართულდება მისი ოდენობის დადგენა ისეთ შემთხვევებში, როდესაც თავად ფაქტი-ჯანმრთელობის ხელყოფა არ დამდგარა. მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 413-ე მუხლის პირველი პუნქტში არაქონებრივი ზიანის ფულად ანაზღაურებასთან მიმართებით ახსენებს, რომ საჭიროა მისი ანაზღაურება სამართლიანი გზით, თუმცა ნათელია ის ფაქტი, რომ სამართლიანი ანაზღაურება ობიექტურად შეფასების საგანს წარმოადგენს და მის წინასწარ განსაზღვრის ფარგლები საკმაოდ და თითქმის წარმოუდგენელიცაა. კომპენსაციის დოენობის განსაზღვრის პრობლემატიკის გარდა, როგორც უკვე აღნიშნული იქნა, უკიდურესად გართულდება მოსარჩელის მიერ მსგავსი ფაქტის მტკიცება და საკმაოდ სარისკოც იქნება სასამართლოში მსგავსი მოთხოვნით მიმართვა, ვინაიდან საკითხი ყოველთვის უკავშირდება დამატებით ხარჯებს, რომლებიც ბაჟის სახით არის გამოხატული, ასევე კომპეტენტური ადამიანური რესურსის მართვას, და იმ დროს რომელიც სხვა შემთხვევებში უფრო გონივრულად შეიძლებოდა დახარჯული, როგორც მოსარჩელის მხრიდან, ასევე მოპასუხის და ბუნებრივია სასამართლოს მხრიდანაც.

რისკები, რომლებიც მოქალაქეთა ზემთხსენებულ უფლებას განავრცობდა და არამატერიალური ზიანის მოთხოვნის მეტ საშუალებას აძლევდა, შეფასებული იქნა სასამართლოების მიერ. მათი განმარტების მიხედვით, აღიარებული იქნა ის ფაქტი, რომ მსგავსი უფლების მინიჭების შესაბამისად, შესაძლებელია მოთხოვნები ყოფილიყო გაზვიადებული, ან ზოგიერთ უკიდურეს შემთხვევაში თაღლითურიც კი, თუმცა მსგავსი ქმედების განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც უშუალოდ ჯანმრთელობის ხელყოფის ისეთი ფაქტი დადგებოდა, რომ დაზიანება იქნებოდა მინორული, თუმცა დაზარალებული მოახდენდა მიყენებული ფსიქიკური ტრამვის გაზვიადებას.<sup>59</sup> საკითხის მიმართ მსგავსი განმარტება გარკვეულ ლოგიკურ საფუძველს ატარებს, თუმცა მაინც კითხვის

<sup>59</sup> Camper v. Minor, 915, S.W.2d 437, 1996, <https://www.lexisnexis.com/lawschool/resources/p/casebrief-camper-v-minor-1164740783.aspx>, [16.6.2019].



ნიშნის ქვეშ რჩება ის საკითხი, თუ რამდენად უარყოფით თუ დადებით შედეგს მოუტანდა უფლების მსგავსი სახით განვრცობა სასამართლო ინსტიტუტის ეფექტურ საქმიანობას. სასამართლოების უმრავლესობამ აღნიშნული პრაქტიკა იმ პერიოდში ძალაში დატოვა, მიუხედავად არსებული განსხვავებული მოსაზრებისა.

საკითხის მიმართ დამოკიდებულება არ იყო ერთგვაროვანი სასამართლოებს შორის, რაც იწვევდა გარკვეულ უთანხომებებს მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლების მიმართ. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სასამართლოების უმეტესობამ უარი თქვა საფუძვლად ფიზიკური ზიანის არსებობისა, ზოგიერთი სასამართლო მაინც განიხილავდა აღნიშნულის არსებობას, როგორც მოთხოვნის უფლების აუცილებელ წინაპირობად და საფუძვლად. სასამართლოთა მეორე ნაწილი კი საკმარისად მიიჩნევდა შიშის ან შოკის ფაქტის არსებობასაც კი. აღნიშნული პოზიციის მოწინააღმდეგენი მოითხოვდნენ და ცდილობდნენ დაესაბუთებინათ, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისთვის აუცილებელი იყო ყოფილიყო რაიმე სახის ობიექტური ფიზიკური ზემოქმედება მაინც, რომელიც წარმოშობდა უარყოფით ფსიქიკურ ზეგავლენას.<sup>60</sup>

მსგავსმა წინააღმდეგობებმა, იქონია როლი „სახიფათო ზონის“ წესის მომხრეებზე და ზოგიერთმა მათგანმა გარკვეულწილად კვლავ განაგრძო საფუძვლის სახეობად ფიზიკური ზემოქმედების არსებობის აუცილებლობის განხილვა, თუმცა, საბოლოოდ, ლიტერატურაში და გადაწყვეტილებებში არ დგინდება მათი უგულებელყოფა. მასაჩუსეტის შტატის უზენაესმა სასამართლომ ფაქტთან მიმართებით გააკეთა მნიშვნელოვანი განაცხადი, რომელიც აღნიშნულ სიტუაციაში საკმაოდ გონივრულად და ლოგიკური უნდა იყოს. სასამართლოს თქმით, მოსარჩელე ვალდებულია თავისი მოთხოვნები და პრეტენზიები, რომლებიც დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ ტანჯვასთან, დაასაბუთონ არგუმენტირებულად ობიექტური მტკიცებულებების გზით, რაც საკმარისი იქნება მოსამართლისათვის გადაწყვეტილების მისაღებად, განხილული იქნას თუ არა დავა სასამართლოში დავის შემდეგ ეტაპზე.<sup>61</sup> ამასთან აღინიშნა, რომ ობიექტურ მტკიცებულებათა რიცხვში არ იქნება განხილული ისეთი სახის ფსიქოლოგიური აღელვება, რომელიც უბრალოდ შეშინებას გულისხმობს, ან დროებითი ხასიათის მატარებელია.<sup>62</sup> თუმცა მტკიცებულებათა სიაში

<sup>60</sup> Wilson v. Sears, Roebuck & Co., 757 F.2d 948, 8<sup>th</sup> Cir. 1985, იხ. ბმულზე:

<<https://casetext.com/case/wilson-v-sears-roebuck-and-co>>, [16.6.2019].

<sup>61</sup> Sullivan v. Boston Gas Co., 414 Mass. 129, Supreme Judicial Court of Massachusetts, Suffolk, 1993,

იხ. ბმულზე: <<https://casetext.com/case/sullivan-v-boston-gas-co>>, [6.16.2019].

<sup>62</sup> იქვე.

შესაძლებელი იყო განხილულიყო ძლიერი თავის ტკივილი, პერიოდული ფიქრები სუიციდზე, ძილის რეჟიმის დარღვევა, დაღლილობა, კუჭის ტკივილი, მადის დაკარგვა და ა.შ.<sup>63</sup> ცნობილი სასამართლო პროცესი - Wright v. Coca Cola bottling, სწორედ ასეთ სიტუაციას ეხებოდა, როდესაც მოსარჩელე ითხოვდა მორალური ზიანის ანაზღაურებას იმის გამო, რომ მან დალია გაზიანი სასმელი “7-up”, რომელშიც ქვეწარმავლის ნარჩენები იმყოფებოდა. შედეგად მოსარჩელეს გაუარდესდა გემოვნების ფუნქციონირება, თავი იგრძნო ცუდად, და ფსიქოლოგიურად შეუძლოდ გახდა. სასამართლომ განმარტა, რომ არსებულ ფაქტთან მიმართებით, არ ფიქსირდებოდა უშუალოდ ჯანმრთელობის ხელყოფის ფაქტი, რაც შეიძლებოდა გამოხატული ყოფილიყო ადამიანის ბიოლოგიური ფუნქციის გაუარესებაში, თუმცა ფაქტი იყო რისკის შემცველი, იკვეთებოდა გაუფრთხილებლობით საკვების უსაფრთხოების ნორმების დარღვევა, რაც საფუძველი იყო არამატერიალური ზიანის ანაზღაურებისთვის. სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა 2000\$-ის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ.<sup>64</sup>

კონკრეტულად ამ, და სხვა მსგავს შემთხვევებთან მიმართებით, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ ჯანმრთელობის განმარტების თანახმად ზემოთხსენებული ფაქტები არ უნდა იქნას გათვალისწინებული გარკვეული მიზეზების გამო. Wright-ის შემთხვევაში ფსიქიკური მდგომარეობა არ იქნა იმდენად შელახული, რომელიც სამედიცინო თვალსაზრისით მიჩნეული იქნებოდა, როგორც ჯანმრთელობის გაუარესება. ფაქტი აღქმული უნდა იყოს, დროებით ფსიქოლოგიურ აღელვებად, რომელიც თავისი ხასიათით სამომავლოდ არანაირ უარყოფით კვალს არ დატოვებდა. მსგავსი შემთხვევების რიცხვი ყოველდღიურ ცხოვრებაში არის წარმოუდგენლად ბევრი და თუ ოდესმე საქართველოში კანონმდებელი მსგავსი პრაქტიკის დანერგვას გადაწყვეტს, აუცილებელი იქნება მისი პოზიციის მყარი არგუმენტაცია, ვინაიდან მსგავსი კანონპროექტების დანერგვას აუცილებელია გააჩნდეს სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლები. ამავდროულად აუცილებლად უნდა არსებობდეს აღნიშნულის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი მოთხოვნა.

---

<sup>63</sup> იხ. Czaplicki v. Gooding Joint School D., Idaho Supreme Court, 775 P.2d 640, იხ. ბმულზე: < <https://www.courtlistener.com/opinion/1258023/czaplicki-v-gooding-joint-school-d-231/>>, [17.6.2019]

ასევე, Silberstein v. Cordie. Minnesota Court of Appeals, 474 N.W.2d 850, 1991, იხ. ბმულზე: < <https://casetext.com/case/silberstein-v-cordie-1>>, [17.6.2019].

<sup>64</sup> იხ. Wright v. Coca Cola Bottling Co., Supreme Court of South Dakota, 414 N.W.2d 608, 1987, იხ. ბმულზე: < <https://casetext.com/case/wright-v-coca-cola-bottling-co>>, [17.6.2019].



საფრთხის ზონის წესის უკეთ გაგებისთვის საყურადღებოა სასამართლო პროცესი *Dulieu v White & Sons*. აღნიშნული საქმე ინგლისში იყო უპირველესი, რომელმაც განსაზღვრა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ზიანის მიმყენებლის გაუფრთხილებელი მოქმედების შესაბამისად და სადაც მიყენებული ზიანი გამოხატული იქნა ფსიქიკურ/ემოციურ აღელვებაში და მენტალური მდგომარეობის გაუარესებაში. აღნიშნულ საქმეში ქალბატონი დულიე თავის საცხოვრებელ სახლში ასუფთავებდა ფანჯარას, როდესაც მოულოდნელად ეტლი ამ ფანჯარას დაეჯახა. ქალბატონი დულიე არ იყო ფიზიკურად დაშავებული, თუმცა განიცადა ნერვული შოკი. აღნიშნული ინციდენტის შედეგად ქალბატონმა უნარშეზღუდული ბავშვი გააჩინა. დროთა განმავლობაში ქალბატონმა მოახერხა და თავისი სახსრებით გაიუმჯობესა ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ინციდენტის შედეგად იყო გამოწვეული. სასამართლოს შესაფასებელი ჰქონდა ორი გარემოება:

- 1) შოკი, რომელიც გამოწვეული იყო საკუთარი უსაფრთხოების დარღვევის გამო;
- 2) ფაქტი, რომ ფსიქოლოგიური ტრავმა გამოხატული იყო ბიოლოგიური/ფიზიკური სახით;

სასამართლოს მიერ გამოყენებული იქნა საფრთხის ზონის წესი და განმარტა, რომ მოსარჩელეს ჰქონდა უფლება მოეთხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც საჭირო იყო ფსიქოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, პირვანდელ მდგომარეობამდე აღსაღდგენად. სასამართლომ განმარტა, ასევე რომ ფსიქოლოგიური ზიანი მიყენებული იქნა, იმ შიშის შედეგად, რომელიც გამოწვეული იქნა მოპასუხის გაუფრთხილებელი მოქმედების შედეგად. ზიანი ამ შემთხვევაში იმიტომ დაექვემდებარა ანაზღაურებას, რომ დაზარალებული პირი გეოგრაფიულად ექცეოდა იმ არეალში, სადაც შესაძლებელი იყო მისთვის სხვა პირის გაუფრთხილებლობის შედეგად ზიანი მისდგომოდა.<sup>65</sup>

საქართველოს მაგალითზე საკითხის განხილვისას, აუცილებელია გათვალისწინებული იქნას მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობა. თუ დავეყრდნობით საქართველოს ეროვნული სტატისტიკის მონაცემებს, რომლის მიხედვით უმუშევრობის დონე 2019 წელს შეადგენს 12.7 %-ს მაშინ გონივრული იქნება, იმაზე ფიქრიც, რომ მსგავსი საკანონმდებლო რეგულაციის დანერგვა წარმოშობს სასამართლო სისტემაში ქაოსს, რაც

<sup>65</sup> *Hicks T.*, Post traumatic stress disorder and the law, 2003, 28.

უარყოფით ასახვას ჰპოვებს სასამართლოს ეფექტურ ფუნქციონირებაზე.<sup>66</sup> თუმცა, არ შეიძლება იმის თქმაც, რომ საკითხს მხოლოდ უარყოფითი მხარე გააჩნია. რაოდენ წარმოდგენელიც შეიძლება მსგავსი მიდგომის ქართულ კანონმდებლობაში დანერგვა, უკვე არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოტანილი იქნას ორი დასკვნა.

1) მიუხედავად საქართველოს კანონმდებლობაში ჯანმრთელობის ცნების დეფინიციის არ არსებობისა, ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობა აუცილებლად უნდა იქნას განხილული, ისეთივე მნიშვნელობის ობიექტად, როგორც ადამიანის ბიოლოგიური მდგომარეობა.

2) ყველა ის მიდგომა, რომელიც ქართულ კანონმდებლობაში არის განვითარებული და ყველა ის უფლება, რომელიც იცავს მოქალაქეთა ბიოლოგიურ ჯანმრთელობას, უნდა ვრცელდებოდეს ასევე მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც.

აღნიშნული საქმე შესაძლებელია ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესად მივიჩნიოთ ჯანმრთელობის ხელყოფის მიხედვით არამატერიალური ზიანის მიყენების თვალსაზრისით. სამართლებრივ ლიტერატურაში გაზიარებულია ასევე აზრი იმის შესახებ, რომ შეფასებას უნდა დაექვემდებაროს კონკრეტულად ის გარემოება, რომელიც შიშს უკავშირდება.<sup>67</sup> იმ მომენტში, როდესაც ზიანი მიაღწა მოსარჩელეს კრიტიკოსებმა აღნიშნეს, რომ დედობრივი ინსტიქტის ნაკლებობის შედეგად, შიში წარმოიშვა საკუთარი ჯანმრთელობის ხელყოფის მიმართ, და არა მისი ნაყოფის მიმართ. შემდგომ ეტაპზე კი ფსიქოლოგიური ზიანი მიაღწა, სწორედ უნარშეზღუდული ბავშვის დაბადების გამო, რომელიც ასევე უშუალო კავშირში იყო გადამხდარ შემთხვევასთან. საკითხი საკმაოდ კომპლექსურია და თითქმის წარმოდგენელია აღნიშნული საქმის განხილვის შედეგად დამყარდეს ერთი კონკრეტული მიდგომა, ვინაიდან ფსიქოლოგიური კონდიცია შეფასების ეტალონი არც სამართლებრივად და არც სამედიცინო თვალსაზრისით არ არის დადგენილი. ამიტომაც ამ და სხვა ნებისმიერი მსგავს შემთხვევაში საკითხი ინდივიდუალურად უნდა იყოს განხილული, და ასევე ინდივიდუალურ შეფასებას უნდა მიეცეს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც თითოეულ მომენტს თან ახლავს.

საქართველოში აღნიშნული საკითხის რეგულაციის შესახებ, ვფიქრობ აუცილებელი იქნა სპეციალური ექსპერტების მოწვევა, როგორც სამართლებრივ დარგში, ასევე სამედიცინო სფეროშიც. ვინაიდან თუ

<sup>66</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დასაქმებისა და უმუშევრობის მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevropa>, [1.6.2019].

<sup>67</sup> *Beede M.*, Duty, foreseeability, and the negligent infliction of mental distress, 1981, 33.

არსებობს იმ იურისტთა ჯგუფი, რომელთაც სურთ, რომ საქართველოში მსგავსი ცვლილების დამყარებისთვის აუცილებელია უშუალოდ მათ მიერ ჩატარებული გამოკვლევები ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისთვის. შეფასების შედეგად აუცილებელია განისაზღვროს ის შემთხვევები, თუ როდის შეიძლება ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედოს ამა თუ იმ მოვლენამ, და რამდენად არის აუცილებლობა იმისა, რომ აღნიშნული მდგომარეობა გამოწვეული იყოს მისთვის ფიზიკური ზიანის მიყენების შედეგად. ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური მდგომარეობები, ვფიქრობ არ უნდა იყოს აპრიორი ერთმანეთთან დაკავშირებული, ვინაიდან შესაძლებელია ბიოლოგიური ზიანი იყოს იმდენად მიზეზური, რომ ფსიქოლოგიური ზიანი არ დადგეს, მაგრამ ბევრია ისეთი გარემოება, რომელიც ადამიანის ფსიქოლოგიაზე უარყოფით შედეგს ახდენს, ადამიანის ბიოლოგიური ჯანმრთელობის ხელყოფის გარეშე.

## 2. საფრთხის მიყენების შიში

დავაში *Dulieu v. White & Sons*, განვითარებული იყო მსჯელობა, რომლის მიხედვით პირის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის საჭირო იყო მოპასუხის მანამდე არსებული პასუხისმგებლობის არეალის გაფართოვება და ახალი პრაქტიკის დანერგვა. საფრთხის მიყენების შიშის, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის განხილვის შესახებ არსებობს ასევე 1925 წელს გამართული უმნიშვნელოვანესი სასამართლო პროცესი - *Hambrook v. Stokes Bros.* ინგლისის სასამართლო საკმაოდ დეტალურად განიხილავდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც აღნიშნულ პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობდა გადაწყვეტილების მიღებისთვის. მოსარჩელეს წარმოადგენდა შემთხვევის დადგომის მომენტში მყოფი ორსული ქალბატონი, რომელიც მიემართებოდა ქუჩაში თავის 3 სხვა შვილთან ერთად. გაუფრთხილებლობის შედეგად მოპასუხის სატვირთო ავტომობილი უკონტროლოდ დაგორდა გზაზე და მოსარჩელისა და მისი შვილების მიმართულებით მიემართებოდა. ავტომობილი დიდი სიჩქარით შეეჯახა შენობას, რომელმაც შეაჩერა ის და მოსარჩელის ოჯახის წევრებს არ შეხებია. ქალბატონი არ იმყოფებოდა იმ არეალში, სადაც შეჯახება მოხდა, თუმცა მან არ იცოდა მისი შვილების მდგომარეობა, რადგან ისინი გაიფანტნენ. ერთ-ერთი გამვლელის თქმით ავტომობილის დაეჯახა ბავშვს, რომლის აღწერილობა შეესაბამებოდა მოსარჩელის შვილის გარეგნობას, რამაც გამოიწვია Hambrook-ის მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა და სამი თვის შემდეგ მისი ნაყოფი ნაადრევი

მშობიარობის შედეგად გარდაიცვალა. დაზარალებულის მეუღლემ უჩივლა პირს, ვისი გაუფრთხილებელი მოქმედების შედეგადაც დადგა აღნიშნული შემთხვევა.

Dulieu-ს შემთხვევისგან განსხვავებით, დაზარალებული პირის მდგომარეობის შეფასების მომენტში აღინიშნა, რომ საყურადღებო იყო ფაქტი, ვის შესახებ აღელვებაც გამოიწვია ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესება. ბავშვების მდგომარეობის გამო შოკი გამოწვეული იყო არა იმისგან, რაც სხვა პირის მიწოდებულმა ინფორმაციამ გამოიწვია, არამედ თავად დაზარალებულის იმ მომენტში არსებულმა აღქმადობამ. სასამართლომ არაპირდაპირად განმარტა, რომ საფრთხის ზონის წესი არ უნდა იყოს გამოყენებული მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე, როცა პირი მხოლოდ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნავს, არამედ მათზეც ვისზე ზრუნვის მოვალეობა მას გააჩნია და ვისი ჯანმრთელობის ხელყოფაც გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზეწოლას მოახდენს.

#### VI. ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მეორე მსოფლიო ომამდე „ტკივილისა“ და „ტანჯვის“ ცნებები სასამართლოების მიერ საკმაოდ იშვიათად გამოიყენებოდა მორალური ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით. მოსარჩელეთა მიერ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ხდებოდა მხოლოდ იმ იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი უშუალოდ განიცდიდნენ ფიზიკურ დისკომფორტს.<sup>68</sup> საინტერესოა იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ აღნიშნულ პერიოდში არ განიხილებოდა ის ელემენტები, რომლებიც სამომავლოდ არამატერიალური ზიანის ანაზღაურების ფარგლებს განსაზღვრავდა. ცვლილებები დაიწყო 1946 წლიდან, როდესაც ამერიკაში ჩამოყალიბდა ერთგვარი ორგანიზაცია სახელწოდებით ATLA<sup>69</sup> მოსარჩელეთა წარმომადგენლების, ადვოკატების მიერ. ორგანიზაცია უზარმაზარი წარმატებით ახორციელებდა მოსარჩელეთა უფლებების დაცვას, რომელთა შორის აღსანიშნავია განსაკუთრებით სწორედ დელიქტური ვალდებულებების შესაბამისად მოთხოვნების დაკმაყოფილების საკითხი. მათი საქმიანობის შედეგად კომპენსაციის ოდენობა სულ უფრო და უფრო მეტად მატულობდა. ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ მათი მოღვაწეობის შედეგად მთლიანად გაფართოვდა და შეიცვალა ის წარმოდგენები,

<sup>68</sup> *Henderson, R. C.*, Compensation for Non-Economic Loss, the Tort-Liability Insurance System, and the 21<sup>st</sup> Century, 39 C. DE D., 1998, 587.

<sup>69</sup> American Trial Lawyers Association, სახელწოდება თავდაპირველად განსხვავებული იყო და წარმოადგენდა NACCA-ს (National Association of Claimants' Compensation Attorneys).

რომლებიც მანამდე დაკავშირებული იყო არამატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან.<sup>70</sup>

წარსულში ზოგადად იყო აღიარებული ის საკითხი, რომ ფსიქოლოგიური ტკივილებისა და ტანჯვის ფინანსური ოდენობის განსაზღვრა სამართლებრივი თვალსაზრისით იყო შეუძლებელი. ამავდროულად ხდებოდა იმის აღნიშვნაც, რომ ფსიქოლოგიური ტანჯვა მიუხედავად იმისა რამდენად განჭვრეტადია ის, არ შეიძლება არსებობდეს, თუ წინ არ უძღვის საფუძვლად ფიზიკური/ბიოლოგიური დაზიანებები<sup>71</sup>.

ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ წარსულში მენტალური განცდები და მშფოთვარება, რომლებიც ცუარყოფით ემოციურ მდგომარეობად განიხილებოდა, არ შეიძლებოდა შეფასებულიყო კანონის ძალით და არ განიხილებოდა იმ ზიანად, რომელიც შეიძლება ანაზღაურებულიყო.<sup>72</sup>

პროფესორი მარკესინისი აღნიშნავდა, რომ იურისტი, რომელიც მოღვაწეობას ახორციელებდა ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის წევრ ქვეყანაში, განსხვავებით კონტინენტური სამართლის ოჯახისა, იშვიათად განიხილავს ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით თუ რა სახის ზიანი შეიძლება ექვემდებარებოდეს ანაზღაურებას და რა სახის არა. აღნიშნული საკითხი ისტორიულად ყალიბდებოდა, როდესაც ზიანის განსაზღვრის საკითხი მთლიანად დამოკიდებული იყო მოსამართლეზე. მისი ვალდებულება და განმარტებები, თუ რატომ გადაწყვიტა კონკრეტულ შემთხვევებში შესაბამისი ფულადი კომპენსაციის განსაზღვრა არ იყო დასაბუთებული, თუ მოპასუხის ბრალეულობა დგინდებოდა. ფარგლების განსაზღვრის საკითხი მთლიანად დამოკიდებული იყო მოსამართლეზე და მის ექსკლუზიურ უფლებაზე, მიეღო ნებისმიერი გადაწყვეტილება სხვა არსებული ვალდებულებების შესაბამისად.<sup>73</sup>

მორალური ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით განსხვავებული მიდგომა არსებობს ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახებსა და კონტინენტური სამართლის ოჯახებს შორის. ჰენდფორდი მიიჩნევს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო განსხვავება ჯანმრთელობის ხელყოფის ანაზღაურების თანხის განსაზღვრის ეტაპზე იკვეთება იმ

<sup>70</sup> *Henderson, R. C.*, Compensation for Non-Economic Loss, the Tort-Liability Insurance System, and the 21<sup>st</sup> Century, 39 C. DE D., 1998, 588.

<sup>71</sup> *Lord Wensleydale*, *Lynch v. Knight*, 1861, 11 ER 854; 9 HLC 577, იხ. ბმულზე: <<https://www.lawteacher.net/cases/lynch-v-knight.php>>, [18.6.2019]

<sup>72</sup> იქვე.

<sup>73</sup> *Markesinis B. / Deakin S.*, Tort Law, Oxford University Press, 2008, 722.

დამოკიდებულებაში, რომლებიც არსებობს დაზარალებულის მენტალური მდგომარეობისა და გრძნობების მიმართ.<sup>74</sup> მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი სხვადასხვა შეზღუდვებს ითვალისწინებს, სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში გერმანიაში, საბერძნეთში და ნიდერლანდებში გამოირიცხება ზოგიერთ შემთხვევაში ფულადი კომპენსაცია. დელიქტური სამართლის მიხედვით კი უმეტესობა სამართლებრივი სისტემების განსაზღვრავს კონკრეტულ ლიმიტს, რომელიც დადგენილია მოქალაქის ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგად მორალური ზიანის კომპენსაციისთვის.<sup>75</sup>

საინტერესოა სასამართლო პროცესი *Alcock v. Chief Constable of South Yorkshire*, რომლის დროსაც გაკეთდა არაერთი მნიშვნელოვანი განმარტება და დასკვნა. კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრასთან მიმართებით აღნიშნული იყო გადაწყვეტილებაში, რომ მიუხედავად ფსიქოლოგიური ტანჯვის ფორმისა და სიმძიმისა, შეუძლებელია სრულად განხორციელდეს მისი ფინანსური სახით კომპენსაცია.<sup>76</sup>

საფრანგეთში წმინდა სახის მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსაზრებები და არსებული დამოკიდებულება საკმაოდ დიდი კამათის ობიექტს წარმოადგენდა. მთავარი არგუმენტაცია, რომელიც ფრანგულ სამართლებრივ ლიტერატურაში მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში იყო განვითარებული, უკავშირდებოდა თავად ჯანმრთელობის უზენაესობის საკითხს. როდესაც საუბარი ეხებოდა თანხის ანაზღაურებას, ფრანგების აზრით, მიუღებელი იყო ფინანსურ კონტექსტში შესაბამისობის დადგენა. ფსიქიკური განცდების ფულადი შეფასების საკითხი საკმაოდ პრობლემატურია, ვინაიდან მსგავს ღირებულებებს არ გააჩნიათ არავითარი საზომი ერთეული და ნებისმიერ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა იქნას განხილული.<sup>77</sup> საკითხის მიმართ მეტ-ნაკლებად ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება დაიწყო მას შემდეგ, რაც საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ გამოტანილი გადაწყვეტილების მიხედვით დაამკვიდრა გარკვეული პრაქტიკა მორალური ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით.<sup>78</sup> დღევანდელი მდგომარეობით საფრანგეთში მორალური ზიანის ანაზღაურებას უპირობოდ ექვემდებარება ისეთი ფსიქოლოგიური

---

<sup>74</sup> *Hanford P.*, Moral damage in Germany, 27 *International and Comparative Law Quarterly*, 1978, 849.

<sup>75</sup> *Alberto Diaz J.*, Non Physical Damage: A Comparative Perspective, University of Canterbury.

<sup>76</sup> *Alcock v. Chief Constable of South Yorkshire*, 1992.

<sup>77</sup> *Esmein P.*, La commercialization du prejudice moral”, 1954, 113.

<sup>78</sup> *Cannarsa M.*, Personal injury compensation in France in Marco Bona and Philip Mead, *Personal injury compensation in Europe*, Lyon, 2003, 194.

ნეგატიური განცდებიც კი, რომლებიც გამოწვეულია მოქალაქის საყვარელი ადამიანის დანაკლისით. სასამართლო არც კი აფასებს მტკიცებულებებს ზემოთხსენებულ შემთხვევებში და მისთვის საკმარისია ფაქტის არსებობა.<sup>79</sup>

ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგად მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი იმდენად გამარტივებულია ზოგიერთ ევროპის ქვეყანაში, რომ მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ ესპანეთი, სადაც დაცულ სამართლებრივ ინტერესს, წარმოადგენს ის ნეგატიური ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეული იქნა მოქალაქის საკუთრებაში არსებული ცხოველის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მოკვლის შედეგად.<sup>80</sup>

მსგავსი მაგალთები ისტორიულად არაერთხელ დაფიქსირებულა. 1962 წელს დოლის მონაწილეს ცხენი, სახელად ლუპუსი გარდაიცვალა, რამაც გამოიწვია მისი მეპატრონეს მცირე ფსიქოლოგიური მდგომარეობა. აღნიშნულის შესაბამისად სასამართლომ მორალური ზიანის კომპენსაციის სახით განსაზღვრა 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ფრანკი.<sup>81</sup> იმავე წელს ძაღლის პატრონებმა მოახერხეს როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური ზიანის ანაზღაურებაც, რომელიც გამოხატული იქნა ძაღლის გარდაცვალების შედეგად ძლიერი მწუხარებით და განცდებით. ზემოთხსენებული გადაწყვეტილებების მიამრთ არსებობდა საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულება, და ფაქტების არსებობა არ უნდა იქნას გაგებული იმგვარად, თითქოს აღნიშნული პრაქტიკა ერთიანად იყო დამკვიდრებული და მსგავს შემთხვევებთან მიმართებით ყოველთვის ერთნაირი გადაწყვეტილება გამოჰქონდა სასამართლოს. სასამართლო ზემოთხსენებულ შემთხვევებთან მიმართებით ხელმძღვანელობდა 1906 წელს მოქმედი საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1385-ე მუხლით, რომლის თანახმად შინაური ცხოველის მეპატრონე ან ადამიანი, ვინც სარგებლობს მისით, ვალდებულია აანაზღაუროს ნებისმიერი სახის ზიანი, რომელიც გამოწვეული იქნა ცხოველის ქმედების შესაბამისად. არსებული კრიტიკაც სავარაუდოდ აღნიშნული მუხლის შინაარსის გაგებიდან გამომდინარეობდა, ვინაიდან პირადი წარმოდგენით მუხლის დანაწესი ნამდვილად არ ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხს.<sup>82</sup>

<sup>79</sup> *Alberto Diaz J.*, Non Physical Damage: A Comparative Perspective, University of Canterbury.

<sup>80</sup> იქვე.

<sup>81</sup> *Alberto Diaz J.*, Non Physical Damage: A Comparative Perspective, University of Canterbury, Cartenbury, 2010, 95.

<sup>82</sup> French Civil code, as amended up to 1906

სამართლებრივი თვალსაზრისით საკითხის შეფასებისთვის, გოვნირული უნდა იყოს ფინანსური ფაქტორის გათვალისწინებაც, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მთავარ როლს თამაშობს. ბუნებრივია, არსებობს სხვადასხვა ღირებულების ცხოველი, თუმცა როდესაც საუბრაი მორალური ზიანის ანაზღაურებას ეხება საყურადღებოა არა თავად შინაური ცხოველის ღირებულება, არამედ ის დამოკიდებულება, რომელიც მის პატრონს გააჩნია მასთან მიმართებით. ამ შემთხვევაშიც საკითხი სუბიექტურ შეფასებას უნდა დაექვემდებაროს, და სასამართლოს მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს ბევრი სხვა ფაქტორიც, საკომპენსაციო თანხის განსაზღვრამდე. ზოგ შემთხვევებში ყურადღება ექცევა ბრალეულობის კოეფიციენტს, ზოგ შემთხვევაში იმ ზიანის სიმძიმეს, რომელიც ცხოველს მიადგა. საკითხი რეალურად არის კომპლექსური შინაარსის და წარმოდგენილია მისი განსაზღვრისთვის კონკრეტული სამართლებრივი მექანიზმის შემუშავება, ვინაიდან თითოეულ ადამიანს გააჩნია განსხვავებული დამოკიდებულებები, განსხვავებული მგრძობელობა თითოეული საკითხის მიმართ. რაოდენ მსგავსი ორი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სიტუაცია არ უნდა არსებობდეს, ვფიქრობ მაინც არ იქნება შესაძლებელი ერთნაირად იქნას შეფასებული საკითხი მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით და ამავდროულად ის ჩაითვალოს სამართლებრივად და სამართლიანად სწორად. ნაშრომში უკვე განხილული იყო ის ისტორიული ეტაპები, როდესაც სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის წარმომადგენლები აქტიურად განიხილავდნენ საკითხს, ცდილობდნენ გარკვეული სახით მიეცათ რეგულაცია, რათა დამკვიდრებულიყო მოქალაქეთა მიმართ ერთიანი სამართლებრივი დამოკიდებულება და მიდგომა, თუმცა ამაოდ. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საკითხის მიმართ კონკრეტული კალკულაციის მეთოდის არ არსებობისა, ამერიკაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები ასანაზღაურებელი თანხის ზედა ზღვარის განსაზღვრის შესახებ, რომლის შესახებ დეტალურად ნაშრომის შემდეგ თავში იქნება განხილული.

ჯანმრთელობის ხელყოფის შესაბამისად კომპენსაციის განსაზღვრასთან მიმართებით გერმანიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა 1992 წელს. ამ დრომდე ფსიქოლოგიური და გონებრივი უარყოფითი ემოციები და ის ზიანი, რომელიც აღნიშნულს თან სდევდა არ ექვემდებარებოდა ანაზღაურებას და არც ხდებოდა მათი დაანგარიშება. ამგვარი დამოკიდებულება გამოწვეული იყო იმით, რომ მოქალაქეები მსგავს შემთხვევებში იღებდნენ მხოლოდ სიმბოლურ ანაზღაურებას. ეს თანხა კი, გაცილებით ნაკლები იყო ხშირ შემთხვევებში, იმ დაზიანებების პირველად მდგომარეობაში დასაბრუნებლად, რომლებიც ჯანმრთელობის ხელყოფით



იყო გამოწვეული. გერმანიის უზენაესმა სასამართლომ 1993 წელს განმარტა, რომ განსახილველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხებოდა იმ მორალურ ზიანს, რომელიც დაზარალებულ მიადგა ტვინის დაზიანების შედეგად. საკითხის გადასაჭრელად კომპენსაციის ოდენობა უნდა ყოფილიყო არა უბრალოდ სიმბოლური, არამედ იმ თანხის შესაბამისი, რომელიც საჭირო იქნებოდა არამატერიალური ზიანის ანაზღაურებისთვის და ასევე მისი ადამიანური ღირსების დამაკმაყოფილებელი.<sup>83</sup>

#### 1. „სრული კომპენსაციის პრინციპი“

კონტინენტური ევროპის სამართალში მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით მოქმედებს წესი - *restitution in integrum*,<sup>84</sup> აღნიშნული წესის თანახმად დაზარალებულ პირს უნდა აუნაზღაურდეს ყველა სახის ზიანი, რომელიც მას მიადგა. ზიანში მოიაზრება, როგორც მატერიალური სახის, ასევე არამატერიალური სახის ზიანი. მატერიალური სახის ზიანში, შესაძლებელია მოიაზრებოდეს, როგორც ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა, ასევე ქონებრივი ზიანი, რომელიც პირის საკუთრების ხელყოფას უკავშირდება. არამატერიალური ზიანის საკითხი უკვე განხილული იქნა ნაშრომის წინა თავებში, რის გამოც მასზე დეტალურად საუბარს აღნიშნულ ქვეთავში აღარ დავუთმობ დროს. საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს განმარტების შესაბამისად, აღნიშნული სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტის ამოცანა და მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ დაზარალებულ პირს შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად აუნაზღაურდეს ის ზიანი, რომელიც მას მიადგა მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შესაბამისად.<sup>85</sup> პრინციპის უმნიშვნელოვანესი ნაწილია ის პირობა, რომლის მიხედვით კომპენსაცია განისაზღვრება მხოლოდ მიყენებული ზიანის შესაბამისად. აღნიშნული დოქტრინული მიდგომის შესაბამისად სამართლებრივ ლიტერატურაში გავრცელებულია მიდგომა, რომელიც ზიანის ანაზღაურების ეტაპზე არ აქცევს ყურადღებას დანაშაულის სიმძიმეს და სხვა გვერდით დამატებით მოვლენებს, და მთავარი ყურადღება მიმართულია უშუალოდ იმ ქონებრივ ზიანზე, რომელიც დაზარალებულ პირს მიადგმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შესაბამისად.<sup>86</sup>

<sup>83</sup> *Magnus U., Fedtke J.*, Non-Pecuniary Loss Under German Law, in W.V. Horton Rogers, Damages For Non-pecuniary Loss In a Comparative Perspective, 2011, 113.

<sup>84</sup> *Alberto Diaz J.*, Non Physical Damage: A Comparative Perspective, University of Canterbury, Cartenbury, 2010, 97.

<sup>85</sup> იქვე.

<sup>86</sup> *Alberto Diaz J.*, Non-Physical Damage: A Comparative Perspective, University of Canterbury, Cartenbury, 2010, 97.

აღნიშნული მიდგომის გამონაკლისს წარმოადგენს ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის § 1324, რომლის თანახმად ყურადღება ექცევა თავად კანონსაწინააღმდეგო ქმედების სიმძიმეს და იმ გარემოებებში, რომელშიც თავად ეს მოქმედება განხორციელდა. ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ბრალეულობის კოეფიციენტს და განსაზღვრავს, რომ მატერიალური და არამატერიალური ზიანის სრულყოფილად ანაზღაურებისათვის აუცილებელია, რომ ბრალეულობა იყოს გამოწვეული უხეში გაუფრთხილებლობით ან გულგრილობით.<sup>87</sup> ყურადღება ექცევა ასევე ზიანის მიმყენებლის მოტივაციას, და იმ სხვა გარემოებებსაც, რომლებშიც ზიანი იქნა მიყენებული. თუ აღნიშნული მაჩვენებლები სახეზე არ იქნება და სასამართლოსთვის წარდგენილი მტკიცებულებების მიხედვით ზიანის მიმყენებლის ბრალეულობას არ აქვს მაღალი მაჩვენებელი, მაშინ მიყენებული არამატერიალური ზიანი შესაძლოა საერთოდ არ დაექვემდებაროს კომპენსაციას. პროფესორი კოზიოლი აღნიშნული მიდგომის მიმართ ავრცელებს განსხვავებულ მოსაზრებას, რომლის თანახმად, § 1342-ის მიდგომის შემსუბუქება შესაძლებელია გამოწვეული იქნას უზენაესი სასამართლოს დასკვნის შესაბამისად, რომელიც იზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას არსებული დანაკარგის რისკის მაღალი მაჩვენებლის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მიუღებელი შემოსავლის არსებობა მოსარჩელის მიერ იქნება დამტკიცებული და არ იარსებებს სხვა საეჭვო გარემოებები, მაშინ არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შანსი ავსტრიაშიც იქნება შესაბამისად მაღალი.<sup>88</sup>

## 2. მორალური ზიანის ანაზღაურების ზედა ზღვარის განსაზღვრა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯანმრთელობის ხელყოფის შესაბამისად არამატერიალური და ასევე მატერიალური ზიანის შემთხვევების შესაბამისად მოთხოვნილი თანხების შესაბამისად 1970-იან წლებში შეიქმნა კრიზისი. საკითხი ეხებოდა სამედიცინო პერსონალის მიერ გაუფრთხილებლობით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შესაბამისად დაზარალებული პირების მიერ მოთხოვნილი თანხების

<sup>87</sup> Allgemeines bürgerliches Gesetzbuch, (General Civil Code of Austria), 1811, fassung vom 15.07.2019, იხ. ბმულზე: <  
<https://www.ris.bka.gv.at/GeltendeFassung.wxe?Abfrage=Bundesnormen&Gesetzesnummer=10001622>  
>, [21.6.2019].

<sup>88</sup> Karner E., Koziol H., Non-pecuniary loss under Austrian law, მითითებულია: Horton W.V. Damages for non-pecuniary loss in a comparative perspective, 2001, 9.

ოდენობის გამო ფინანსურ კრიზისს, რომელმაც ასახვა სადაზღვევო კომპანიებზე ჰპოვა.<sup>89</sup>

კალიფორნიის შტატმა წარადგინა ახალი საკანონმდებლო პროექტი, რომელიც Medical Injury Compensation Reform Act-ის სახელწოდებით იყო ცნობილი.<sup>90</sup> აღნიშნული რეფორმის შედეგად გაუფრთხილებლობის შედეგად დამდგარი ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის ზედა ზღვრად განისაზღვრა 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარი. კალიფორნიის სამოქალაქო კოდექსის 3333 პარაგრაფში გათვალისწინებული იქნა დანაწესი ლიმიტის შესახებ. რეფორმა გატარდა ასევე სხვა შტატებში<sup>91</sup>. რეფორმის აუცილებლობა გამოწვეული იქნა, რამდენიმე მნიშვნელოვანი წინაპირობის არსებობის გამო. მათგან უმთავრესია არამატერიალური ზიანის განსაზღვრის სუბიექტური ბუნება, რაზეც ნაშრომის წინა თავებში არაერთხელ იქნა განხილული.

აღნიშნული რეფორმის შედეგად შესაძლებელია იმის თქმა, რომ კანონმდებელმა რამდენიმე მიზნის მიღწევა სცადა: თავიდან აერიდებინა შეუსაბამოდ მაღალი მოთხოვნები ჯანმრთელობის ხელყოფის შესაბამისად მორალური ზიანის ანაზღაურების დროს, განესაზღვრა ზოგადი და მაღალი მაჩვენებელი, რომელიც იმ დროს არსებული მოთხოვნებს გონივრულად შეესაბამებოდა, გაეზარდა სხვადასხვა ინსტიტუტების ეფექტური საქმიანობა, რაც დაეხმარებოდა მათ ფუნქციონირებას და პარალელურად დადგინდებოდა გარკვეული პრაქტიკა, რომელიც სამომავლოდაც ხელსაყრელი იქნებოდა, როგორც იურსიტებისთვის ასევე სასამართლოსთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვისაც.

## VII. ჯანმრთელობის ხელყოფის შესაბამისად არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

ქართული სამეცნიერო ლიტერატურა სხვადასხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან დაკავშირებით მსჯელობას ხშირ შემთხვევებში აწვდის სხვა ქვეყნებში არსებული შეხედულებების დოქტრინისა და მიდგომების შესაბამისად. შედარებითი სამართლის მნიშვნელობაზე არაერთ იურისტს აქვს თავისი მოსაზრება გადმოცემული და შესაძლებელია იმის აღნიშვნა, რომ ავტორთა უმრავლესობა აღიარებს შედარებითი სამართლის უდიდეს როლს სამართლებრივი სისტემების განვითარების კუთხით.

<sup>89</sup> *Nelson J. L./Morrisey A. M./Kilgore L. M.*, Medical Malpractice Reform in Three Southern States, September 2008.

<sup>90</sup> *Scott Jenkins R. /Wm. Schweinfurth*, California's Medical Injury Compensation Reform Act: An Equal Protection Challenge, Southern California Law Review, vol. 52, No. 3, California, March 1979.

<sup>91</sup> *Nelson L./Morrisey M./ Kilgore M.*, Medical Malpractice Reform in Three Southern States, September 2008.

როდესაც სამართლებრივ დოქტრინაში რეგულაციას ექვემდებარება გარკვეული სიახლე, რომელიც ქვეყანაში მანამდე არ არსებობდა შესაძლებელია წარმოიშვას, ისეთი დეტალები, რომლებიც სრულყოფილად რეგულირებული არ არის, რისთვისაც სასამართლოს უწევს ანალოგიის მეშვეობით სხვადასხვა ნორმის მოშველიება. თუ საკითხი კომპლექსური ხასიათით გამოირჩევა, სასამართლო გადაწყვეტილებებში ვხვდებით მოსაზრებებს, რომლებიც ემყარება, უცხო ქვეყნის პრაქტიკას, შედარებით სამართლებრივი ანალიზს და იმ გამოცდილებას, რომელიც სხვას უკვე გააჩნია.

ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგად მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის მომწესრიგებელი ნორმატიული მასალის და არსებული ლიტერატურის პარალელურად სასამართლო პრაქტიკის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა მისი უკეთ გაგებისთვის. სამართლებრივი ინსტიტუტის არსის გაცნობიერებაში სასამართლო გადაწყვეტილებებში განვითარებული მოსაზრებები დიდ როლს თამაშობს, რის გამოც ნაშრომში აღნიშნულს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა.

## 1. მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლების შესახებ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2012 წლის 20 იანვარს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოიტანა, რომელიც დაკავშირებული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლთან.<sup>92</sup> ნაშრომის III თავში განვითარებული არის მსჯელობა, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს, არამატერიალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლებს საქართველოში.

ზემოთხსენებულ სამოქალაქო საქმეში საკითხი უკავშირდებოდა მორალური ზიანის ანაზღაურებას, რომელიც გამოწვეული იყო ხანძრის შედეგად ქონების განადგურებით. სააპელაციო სასამართლოს განმარტების წინააღმდეგ საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, სსკ-ს 413-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ იყო, ვინაიდან ხანძრის გაჩენის შედეგად დაზიანდა მხოლოდ პირის ქონებრივი სიკეთე და არა მისი ჯანმრთელობა. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა 413-ე მუხლის შინაარსს ვიწროდ განსაზღვრავს, რაც საკასაციო სასამართლოს მსჯელობის თანახმად, არ არის სწორად მიჩნეული. 413-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი, მართალია, ითვალისწინებს კანონით ზუსტად

<sup>92</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის № ას-1156-1176-2011 განჩინება.

განსაზღვრულ შემთხვევებს, თუმცა აუცილებელია მისი ინტერპრეტაცია აგებული იყოს ნორმის მიზნობრიობის გათვალისწინებით. კანონით წინასწარ განსაზღვრულ შემთხვევებში მოიაზრება ჯანმრთელობის ხელყოფა, რომლის თანმდევი პროცესი იყო პირის სულიერი ტანჯვა. უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, მიზნობრიობა უკავშირდება ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოვების შემცირებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვის წესრიგსა და სტაბილურობას. სასამართლოს განმარტებით, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებულია ჯანმრთელობის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის გამო და არა - ქონებრივი ზიანის გამო სულიერი ტანჯვით გამოწვეული ჯანმრთელობის მოშლის დროს. მართალია, დაზარალებულ პირს მიადგა ქონებრივი ზიანი, რომელიც მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე უარყოფითად მოქმედება, თუმცა ამ ფაქტის დამტკიცების შემთხვევაშიც არ შეიძლება მოთხოვნილი იქნას მორალური ზიანის ანაზღაურება. სსკ-ს 413-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობებისგან გვერდის ავლა სასამართლოს განმარტებით, წარმოშობს ისეთი პრაქტიკის დამკვიდრებას, რომელიც სამომავლოდ ზიანს მიაყენებს სასამართლოს ინსტიტუტის ეფექტურ საქმიანობას, რადგან ნებისმიერ პირს მიეცემა საშუალება მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება ქონებრივი დანაკლისის წარმოშობის შემთხვევაში. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველად სხეულის დაზიანებასა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებაში უნდა მოიაზრებოდეს ისეთი სახის ქმედება, რომელიც ხელყოფს ადამიანის სხეულს ან ადამიანის ორგანიზმის შინაგან პროცესებს. შინაგანი პროცესების მნიშვნელობა შესაძლებელია სხვადასხვაგვარად იქნას აღქმული, რადგან სამედიცინო თვალსაზრისით ნებისმიერი სახის ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური პროცესებიც შინაგან პროცესებად მოიაზრება. ამიტომ საინტერესო იქნებოდა მსჯელობა იმის შესახებ, წარმოიშვება თუ არა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ შემთხვევაში თუ სახეზეა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, ბრალეულობა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და ზიანი გამოხატულია პირის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესებაში. საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობებზე არაერთხელ აქვს ნამსჯელი, და ყველა შემთხვევაში განვითარებული აქვს ერთმანეთის მსგავსი მსჯელობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლთან დაკავშირებით.<sup>93</sup>

<sup>93</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 3 ოქტომბრის განჩინება: №2გ/1346-17.

2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ

2.1. მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლების განსაზღვრა

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს განხილული აქვს საქართველოს მოქალაქის სარჩელი, რომელიც ითხოვდა ქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან ერთად, მორალური ზიანის ანაზღაურებას 50 ათასი ევროს ოდენობით. <sup>94</sup> აღნიშნულ ფაქტთან მიმართებით არ იკვეთებოდა ჯანმრთელობის ხელყოფის ფაქტი, თუმცა განმცხადებელს შეექმნა გარკვეული უსიამოვნება, რაც სასამართლომ საკმარის მტკიცებულებად მიიჩნია მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისთვის. სასამართლოს მიერ არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებელი მოცულობა შემცირდა 5 000 ევრომდე, და განიმარტა, რომ აღნიშნული თანხა გამომდინარეობდა ობიექტური მსჯელობისა და განსჯის შესაბამისად. მსგავსად სხვა ქვეყნის დოქტრინისა, მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატებისა, სასამართლოს მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობა არ განუხილავს ჯანმრთელობის ხელყოფის ფაქტის არსებობა და საკმარისად იქნა მიჩნეული მოქალაქის გარკვეული უსიამოვნო ფსიქოლოგიური მდგომარეობის არსებობა. ასევე საყურადღებოა იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ სასამართლო ზიანის ოდენობის განსაზღვრის ეტაპზე არ ხელმძღვანელობდა რომელიმე ნორმატიული მასალით დადგენილი ფარგლებით ან წესებით და მან გადაწყვეტილება დაამყარა მთლიანად ობიექტურ შეფასებაზე.

არამატერიალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის აღნიშნული მაგალითიც სწორედ მის კომპლექსურობაზე მიუთითებს, ვინაიდან თითოეული შემთხვევა, როდესაც პირს ადგება ზიანი ექვემდებარება ინდივიდუალურად შეფასებას და თითქმის წარმოუდგენლად შეიძლება იქნას მიჩნეული გარკვეული ჩარჩოების განსაზღვრა.

მორალური ზიანის კომპენსაციის განსაზღვრის ოდენობასთან დაკავშირებით საქართველოს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2012 წელს აქვს ასევე საინტერესო განმარტება გაკეთებული.<sup>95</sup>

მოსასარჩელეს ჯანმრთელობას მიადგა ზიანი, რაც გამოხატული იყო მისი თვალის დაზიანებაში. დაზარალებულს დასაჭირდა რამდენიმე საკმაოდ ძვირადღირებული სადიაგნოსტიკო ტესტირება, მედიკამენტების შეძენა და

<sup>94</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის №18156/05 განჩინება საქმეზე: ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ.

<sup>95</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: №28/679-12.

სამკურნალო პროცედურების ჩატარება. მოსარჩელე გარდა ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისა ითხოვდა ასევე არამატერიალურსაც, რომელთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და არც სხვა რომელიმე კანონი არ ადგენს მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის ზუსტ წესს. სასამართლო განმარტების მიხედვით ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სასამართლო არამატერიალური ზიანის ანაზღაურების განსაზღვრის მომენტში უპირატეს ყურადღებას უთმობს ბრალეულობის ელემენტს და მის შეფასებას. მიუხედავად იმისა, რომ ბრალი სამოქალაქო სამართალში მიიჩნევა, პასუხისმგებლობის განსაზღვრის პირობად და არა ზომად, აღნიშნულ ინსტიტუტთან მიმართებით სასამართლო გამონაკლისს განსაზღვრავს და მას დასაშვებად მიიჩნევს. როდესაც სასამართლო განსაზღვრავს არამატერიალური ზიანის ოდენობას, ის ითვალისწინებს ზიანის მიმყენებლის დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილი ქმედების მიმართ. გარდა ბრალეულობის ელემენტის შეფასებისა, კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის ეტაპზე სასამართლომ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო დაზარალებული პირის ფიზიკური და სულიერი ტკივილის ხარისხის განსაზღვრას. არამატერიალური ზიანი სააპელაციო სასამართლოს განმარტებით არის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვა, რომელსაც პირი განიცდის სხვადასხვა სახის სიკეთის ხელყოფის შედეგად. სიკეთეთა რიცხვში სასამართლო უშვებს, როგორც ქონებრივი, ასევე არამატერიალური ფასეულობის ხელყოფის მოაზრებას.

ნაშრომში უკვე ნახსენები იყო მეცნიერთა, მოსაზრებები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ ადამიანის ჯანმრთელობას არ შეიძლება გააჩნდეს ფულადი ექვივალენტი, და შესაბამისად არაა შესაძლებელი მისი სრულად ანაზღაურება. დამდგარი შედეგების გამოსწორება და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ხშირ შემთხვევებში არ ხდება, და რომც იყოს შესაძლებელი დაზარალებულის სულიერი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია. სასამართლოს განმარტებით მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანია, არა ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, არამედ მოსარჩელის გამართლება საზოგადოების თვალში, მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილის შემსუბუქება და უარყოფითი ემოციების გაქარწყლება.

სასამართლომ გარდა, ზემოთგანხილული ფაქტობრივი გარემოებებისა შეაფასა ის გარემოებები, რომლებიც დაზარალებულის ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, ისაუბრა მის სოციალურ და ფინანსურ მდგომარეობებზე და ამავდროულად განხილა მიყენებული ზიანის სიმძიმე.

ყველა ზემოთხსენებული ფაქტორის განსაზღვრა, მათი კუმულაციურად განხილვა და ლოგიკური კავშირის დადგენა არის ერთადერთი გამართლებული გზა ქართული სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას არამატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით. მსგავსი პრაქტიკა არსებობს ასევე სხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკაშიც, რომელიც განხილული იყო ნაშრომის წინა თავში.

აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს საქართველოს საქალაქო სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილება.<sup>96</sup> აღნიშნულ საქმეში შესაძლო მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის მიმართ გაზიარებული იქნა იდენტური დამოკიდებულება, რომელიც განვითარებული ჰქონდა უზენაეს სასამართლოს წინა შემთხვევის განხილვის დროს. მორალური ზიანი არ შეიძლება გამოხატული იქნას ფულადი სახით და საკითხი თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურ შეფასებას უნდა მიეცეს. მსგავსად ანგლო-ამერიკული დოქტრინისა, სხეულის დაზიანების საკითხთან კონტინენტური სამართლის წევრ ქვეყნებშიც განვითარებულია მსგავსი მიდგომა. სამართლებრივ ლიტერატურაში სხეულის დაზიანების ცნებაში მოიაზრება როგორც სხეულის ფუნქციის დარღვევა (ფიზიოლოგიური გაგებით) ასევე, გარეგნული დაზიანებები და ფსიქოლოგიური ზიანი.<sup>97</sup>

VIII. ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგად, არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ კონტინენტური ევროპის ქვეყნებში განვითარებული სამართლებრივი დოქტრინა.

საქართველოს სამართლებრივი რეგულაციები უმეტესწილად კონტინენტური ევროპის სამართლებრივი კულტურის ნაწილს წარმოადგენს, რაზეც არაერთი სამართლებრივი ლიტერატურა მიუთითებს.<sup>98</sup> საქართველოსა და ევროპას შორის ურთიერთობა განსაკუთრებით გამყარდა მას შემდეგ, რაც 2013 წელს გაფორმდა ასოცირების ხელშეკრულება.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსზე მუშაობის დროს გათვალისწინებული იქნა გერმანული სამოქალაქო კოდექსის მოდელი,<sup>99</sup> ნაშრომის ამ თავში ყურადღება დაეთმობა, სწორედ

<sup>96</sup> საქართველოს საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 ივნისის №3/807-15 გადაწყვეტილება

<sup>97</sup> *Ebke W./ Finkin M.*, Introduction to German Law, 1996, 201-203

<sup>98</sup> *ბიჭია დ.*, პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2017, 6, იხ. ციტირება *Chanturia L.*, Die Europaisierung des georgischen Rechts – bloßer Wunsch oder große Herausforderung? In *Rabels Zeitschrift*, Band 74, Heft 1, 2010, 154-181.

<sup>99</sup> *ჭანტურია ვ.*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 1997, 30.



გერმანიის სამოქალაქო სამართლის მიხედვით მორალური ზიანის ინსტიტუტის მიმართ არსებული დამოკიდებულების განხილვას.

გერმანიაში დაცული ინტერესის საკითხის მიმართ არსებობს განსხვავებული დამოკიდებულება სხვა კონტინენტური სამართლის წევრი ოჯახებისაგან. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს ერთიან, გენერალურ დელიქტურ პრინციპს, რომელიც მოიცავს ყველა სახის განზრახ თუ გაუფრთხილებლობით გამოწვეულ ნებისმიერი სახის ზიანს. პროფესორი ცვაიგერტი მიიჩნევს, რომ კანონშემოქმედთა ჯგუფი, ვინც გერმანიის სამოქალაქო კოდექსზე ახორციელებდა საქმიანობას, გარკვეულწილად მისწრაფვოდნენ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მოდელისკენ.<sup>100</sup> აღნიშნულ პერიოდში მიღებულმა გადაწყვეტილებებმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა იმ თანამედროვე მიდგომების განვითარებაში, რომელებიც დღეს ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგად მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით არის განვითარებული.

არაქონებრივი ზიანის (Nicht-vermogensschaden) ანაზღაურებას ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §249-253 განსაზღვრავს ზიანის ცნებას, ასევე ზიანის წარმოშობის შედეგად მისი ანაზღაურების საკითხს.<sup>101</sup> მსგავსად საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ანვითარებს ზიანის შერაცხვის საფუძვლებს. პასუხისმგებლობის წამომომშობი შემადგენლობათა შორის აღინიშნება მიზეზობრივი ქმედება და ხელყოფა, რომელთა შესახებ დამოკიდებულება განვითარებულია გერმანიის სამართლებრივ პრაქტიკაში და ლიტერატურაში.<sup>102</sup>

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 253 უშუალოდ არეგულირებს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხს. აღნიშნული პარაგრაფის ორივე პუნქტი გარკვეულ მსგავსებას იზიარებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლთან მიმართებით. არამატრიალური ზიანის ანაზღაურების უპირველეს ფუნქციად განხილიება დაზარალებული პირის განცდილი არამატრიალური ზიანის კომპენსირება და ასევე მორალური დაკმაყოფილება განცდილი ზიანისთვის.<sup>103</sup> მსგავსი დებულებები გვხვდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადააწტვეტილებებში და ასევე სხვა

<sup>100</sup> *Zweigert K. & Hein, / Kotz, An introduction to comparative law, 1977, 599.*

<sup>101</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

<sup>102</sup> *კროკოლოერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, სასწავლო კომენტარი, Verlag C.H. Beck Munchen 2011, თბილისი, 2014, 117.

<sup>103</sup> იქვე, 136.

სამართლებრივ ლიტერატურაშიც, რომელიც ნაშრომის წინა თავებში იქნა განხილული.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ძველ ვერსიებში საკითხი რეგულირებული იყო § 847-ის მიხედვით, რომელიც ასევე იზიარებდა თანამედროვე რეალობაში განვითარებულ მოსაზრებებს მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.<sup>104</sup> მსგავსად ქართული სამოქალაქო კოდექსისა, გერმანიის სამოქალაქო კოდექსში განვითარებული მსჯელობა შესაძლებლობას გვაძლევს ყურადღება გამახვილებული იქნას იმ მნიშვნელოვან ასპექტებზე, რომლებიც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის წინაპირობებს ადგენს. შემადგენლობა, რომელიც არაერთ ქართულ ლიტერატურაში იყო გაზიარებული, ასევე განიხილება გერმანიის სამოქალაქო კოდექსშიც.<sup>105</sup> ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის საკითხი მორალური ზიანის ანაზღაურებაზე ზოგადი გაგებით არ ახდენდა გავლენას, რაც განსაზღვრული იყო გერმანიის სხვადასხვა სამართლებრივი აქტების რეგულაციების მიხედვითაც.<sup>106</sup>

## IX. დასკვნა

ნაშრომში ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგად მორალური, იგივე არამატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით არაერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იქნა განხილული. მსჯელობის შედეგად შესაძლებელია საკითხის არსის უკეთ გაგება და იმ პრობლემებისა და გამოწვევების გაანალიზება, რომელთა წინაშეც ქართული სამართლებრივი დოქტრინა დგას. მსჯელობის შედეგად შესაძლებელია გამოტანილი იქნას, არაერთი დასკვნა, რომელიც დაკავშირებულია, როგორც თავად მორალური

<sup>104</sup> *Rogers W. V. H., Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective, Tort and Insurance Law Vol. 2, SpringerWienNewYork, 2001, 109.*

<sup>105</sup> *ქობაშვილი ქ.*, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, შედარების სამართლებრივი კვლევა, თბილისი, 2009, 82. საბჭოთა სამართლებრივი ლიტერატურაც მსგავსად ქართულ ლიტერატურაში განვითარებული მოსაზრებისა ითვალისწინებდა სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობას: ზიანი, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მიზეზ-შედეგობრივი კავში მიყენებულ ზიანსა და ქმედებას შორის და ასმართალდამრღვევის ბრალი.

<sup>106</sup> *Rogers W. V. H., Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective, Tort and Insurance Law Vol. 2, SpringerWienNewYork, 2001, 109, იხ. ციტირება: Road Traffic Act § 11., HaftPflichtG (Liability Act) § 6, PrdoHaftG (Product liability Act) § 8, UmweltHaftG (Environmental Liability Act) § 13.*

ზიანის ანაზღაურებასთან, ასევე, მასთან მჭიდრო კავშირში მყოფ სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან.

პირველ რიგში აღსანიშნავია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა, მსგავსად საერთაშორისო აქტებისა, ადამიანის ჯანმრთელობის უფლების აბსოლუტურობას უსვავს ხაზს. ნებისმიერი სახის ნეგატიური ზემოქმედება, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფით ასახვას ჰკოვებს, დაზარალებული პირისთვის წარმოშობს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. მოთხოვნის უფლების წარმოშობისთვის ასევე აუცილებელია სხვა წინაპირობების არსებობა, რომელთა რიგში მოიაზრება მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ბრალეულობა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. აღნიშნული მიდგომა დამკვიდრებულია კონტინენტური სამართლის ოჯახის წევრ ქვეყნებში და მათი არსებობა/არ არსებობა აქტიურად განიხილება საქართველოს სასამართლოების მიერ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის დოქტრინალური ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი თვალნათლივ ყოფილიყო წარმოდგენილი ის პრობლემები, რომლებიც სასურველია დროულ რეაგირებას მიეცეს.

აღნიშნულ პრობლემათა შორის უნდა აღინიშნოს ის მიდგომები, რომლებიც ქართლ ნორმატიულ მასალაშია დამკვიდრებული კონტინენტური ევროპის სამართლებრივი ოჯახის ზეგავლენით. ბუნებრივია, ზოგადი თვალსაზრისით მსგავს გავლენას უარყოფითი შეფასება არ უნდა მიეცეს, თუმცა ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული იმ დოქტრინაზე, რომელიც სხვა სამართლებრივ ოჯახებში სასამართლო სტრუქტურებს შესაძლებლობას აძლევს უფრო ფართოდ და სიღრმისეულად განხილოს ჯანმრთელობის ხელყოფის შესაბამისად მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი.

იმ პრაქტიკისა და დოქტრინის ანალიზი, რომელიც ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაშია დანერგილი იურიდიულ სფეროში წარმოაჩენს აბსოლუტურად ახალ, აქამდე არ არსებულ და განუხილველ თეორიებსა და მიდგომებს, რომლებიც კანონით გათვალისწინებული აბსოლუტური უფლების- ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება.

მეორე უმნიშვნელოვანესი პრობლემა განპირობებულია, თავად არაქონებრივი ზიანის სამართლებრივი ბუნებიდან და უკავშირდება კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრას. საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით გამოიკვეთა ის მნიშვნელოვანი დამოკიდებულება, რომელიც საკმაოდ გონივრულად შეიძლება იქნას მიჩნეული და რომლის მსგავსი მიდგომაც მსოფლიოს სხვა

ქვეყნებშიც შეინიშნება. კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის დროს, მართალია, სასიხარულოა, რომ სასამართლო ინდივიდუალურად განიხილავს თითოეულ შემთხვევას, კუმულაციურად აფასებს გარემო პირობებს, და კონკრეტულ შემთხვევებთან მიმართებით არ სარგებლობს რაიმე სახის ზოგადი მიდგომით, თუმცა პრობლემა იკვეთება იმ თვალსაზრისით, როდესაც სასამართლოს განჭვრეტადობა იზღუდება დაზარალებული პირის მოთხოვნის განსაზღვრის კრიტერიუმების არ არსებობის თვალსაზრისით. ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ მდიდარია მორალური ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით და არ იქნება ურიგო თუ გავითვალისწინებთ იმ შემთხვევებს, რომლებმაც აღნიშნულ სფეროში სერიოზული პრობლემები წარმოშვა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. ზოგიერთ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებული პირი ხშირად ბოროტად სარგებლობდა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით, მის მიერ წამოყენებული ფინანსური მოთხოვნა რთული იყო შეფასებას მისცემოდა სასამართლოს მიერ, ვინაიდან, როგორც უკვე აღნიშნული იქნა ნაშრომში არ არსებობს ჯანმრთელობის მდგომარეობის ფულადი ეკვივალენტი. ამიტომ საკითხი საკმაოდ რთულად რეგულირებადი და განსაზღვრადია. საქართველო, მართალია მოსახლეობის თვალსაზრისით საკმაოდ პატარა ქვეყანაა, და სასამართლო დავებიც არც თუ საკმაოდ ხშირია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, თუმცა რეალურია იმ რისკის წარმოდგენა, რომ უფლების ბოროტად სარგებლობის შესაძლებლობა საქართველოს მოქალაქეებსაც შეუძლიათ. კალიფორნიის შტატში მომხდარი შემთხვევის მაგალითზე, სადაც სადაზღვევო სექტორზე წინასწარწარმოუდგენელი სახის ზიანი სწორედ არამატერიალური ზიანის მოთხოვნამ გამოიწვია, მაგალითი უნდა იყოს სხვა ქვეყნებისთვის, რათა თავიდან იქნას აცილებული ფინანსური კრიზისი კონკრეტულ ბიზნეს სექტორებში.

აღნიშნული საკითხის თავიდან აცილების მიზნით შესაძლებელია დაშვებული იქნას, კანონმდებლის მიერ სპეციალური ნორმების დანერგვა, რომლებიც მსგავსად კალიფორნიისა და ამერიკის შეერთებული შტატების უმრავლესობისა დააწესებს და განსაზღვრავს მორალური ზიანის მოთხოვნის ზედა ზღვარს. ბუნებრივია, აღნიშნულთან მიმართებით აუცილებელია წინასწარ კვლევებისა და შეფასებების გაკეთება, რაც მეტად ობიექტურ ნორმებს შესთავაზებს მოსახლეობას.

მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს წინაპირობებს, რომელთა არ არსებობის შემთხვევაში

სასამართლო სარგებლობს უფლებამოსილებით არ დააკმაყოფილოს არსებული მოთხოვნა. აღნიშნულ წინაპირობათა რიცხვში მოიაზრება ისეთი შემთხვევები, როდესაც მოქალაქე ფსიქოლოგიური ტრავმა გამოწვეული ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგად. ჯანმრთელობის დეფინიციაში კი საკმაოდ ლოგიკურია გაზიარებული იქნას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განვითარებული მოსაზრება რომლის თანახმად, ადამიანის ჯანმრთელობაში მოიაზრება, როგორც მისი ბიოლოგიური კეთილდღეობა ასევე, ფსიქოლოგიური. ჯანმრთელობის ცნების ქვეშ უნდა მოიაზრებოდეს ასევე სოციალურ პირობებში განვითარებისა და არსებობის ხელშეწყობა.

ნაშრომში განვითარებული მსჯელობა მეტად გასაგებს ქმნის ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების ირგვლივ არსებულ სამართლებრივ მდგომარეობას, გამოწვევებს, რომელთა წინაშეც ქართული დოქტრინა დგას და იმ პრობლემებს, რომელთა დროული გადაწყვეტა გონივრული იქნება, როგორც უფლების მქონე ყველა ადამიანისთვის, ასევე ინსტიტუტის უკეთესი რეგულირებისთვის.

დასკვნის სახით შესაძლებელია ყურადღება გამახვილდეს რამდენიმე არსებით გარემოებაზე, რომელიც უმნიშვნელოვანესად უნდა იქნეს მიჩნეული მორალური ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით.

ჯანმრთელობის ცნების ქვეშ აუცილებელია გათვალისწინებული იქნას, როგორც ადამიანის ბიოლოგიური/ფიზიკური კეთილდღეობა ასევე მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსისი 413-ე მუხლი ორ აუცილებელ წინაპირობას გამოყოფს, რომელთა არ არსებობის შემთხვევაში არ წარმოიშვება მოთხოვნის უფლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევებს დაშვებულად განიხილავს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. ვინაიდან, კანონმდებლობაში არ ვხვდებით ჯანმრთელობის ცნების ზუსტ განსაზღვრებას, საგულისხმო იქნება იმ მსჯელობათა გაზიარება და პრაქტიკაში დამკვიდრება, რომლებიც არაერთ სასამართლო გადაწყვეტილებაშია განვითარებული. როდესაც საუბარი ეხება ჯანმრთელობის ცნების შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, უნდა აღინიშნოს, რომ მესამე პირები, არ არიან უფლებამოსილნი მიამართონ სასამართლოს სულიერი ტკივილის ფულადი კომპენსაციისთვის.<sup>107</sup>

პრობლემურია საკითხი მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის ეტაპზე, ვინაიდან ობიექტურ საფუძვლებს არის მოკლებული

<sup>107</sup> ბიჭია მ., დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა, სამართალი და მსოფლიო №4, თბილისი, 2016, 52.

წინასწარ განსაზღვრული კალკულაციის მეთოდის დანერგვისთვის. თითოეული შემთხვევა აუცილებლად ინდივიდუალური შეფასების საგანს უნდა წარმოადგენდეს და განხილული უნდა იყოს ყველა ის გარემოება, რომლებიც კონკრეტულ ფაქტებს ახლავს თავს.

განსაკუთრებით პრობლემურია სიტუაცია მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის იმ ეტაპზე, ვინაიდან, ფსიქოლოგიური ტანჯვა, და ის არასასურველი შედეგები, რომლებიც პირს ადგება არა ბიოლოგიურ/ფიზიკურ მდგომარეობაზე არის მეტწილად სუბიექტური. სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებზე დადგინდა, რომ ასეთ შემთხვევებში სპეკულაციების შემთხვევები მატულობს და მეტად რთულია დადგინდეს ის ობიექტური ასანაზღაურებელი ფინანსური თანხა, რომელზეც მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისგან განსხვავებით არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას ორმაგი ბუნება გააჩნია, რომელიც გამოხატულია, როგორც მანამდე არსებული მდგომარეობის აღდგენაში, ასევე პირის მორალურ დაკმაყოფილებაშიც.<sup>108</sup>

ანგლო-ამერიკული სამართლებრივი დოქტრინა საკმაოდ განსხვავებულად არეგულირებს საკითხს და მეტად უფრო კომპლექსურ ვითარებებს წარმოშობს, განსაკუთრებით ანაზღაურების განხილვის თვალსაზრისით.

განსხვავებით კონტინენტური ევროპის სამართლებრივი დოქტრინისა, ანგლო-ამერიკული ყურადღებას ამახვილებს საკმაოდ საინტერესო გარემოებებზე, რომლებიც ცნობილია „საფრთხის ზონი“-ს სახელით. ჰიპოთეტური გარემოებები, რომელთა დროს პირს შესაძლებელია მიადგენს ზიანი და ამის გამო მას გაუუარესდა ჯანმრთელობის მდგომარეობა, წარმოადგენს ერთი შეხედვით საკმაოდ უცნაურ საკითხს, თუმცა იმ არგუმენტაციის გათვალისწინებით, რომელიც მოსამართლეთა ნაწილს აქვს განვითარებული მასთან მიმართებით, შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას ის ლოგიკური განმარტება, რომელიც მას ახლავს.

შესაძლებელია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოში განსახილველ ინსტიტუტთან მიმართებით გარდა კონტინენტური ევროპის ქვეყნებში არსებული რეგულაციებისა, საფუძვლიანად უნდა იქნას განხილული ის მიდგომებიც, რომლებიც დამკვიდრებულია სწორედ ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში. შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენების საფუძველზე, საკითხის კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე მეტად

<sup>108</sup> ბიკია მ., არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, თბილისი, 2014, 672-673.

ხელსაყრელი იქნება ერთმანეთისგან იქნას გამიჯნული ის განსხვავებები, რომლებიც აღნიშნული დოქტრინაში გვხვდება და შემდგომ მათი იმპლემენტაცია ამის საფუძველზე განხორციელდება. აუცილებლად უნდა იქნას მიჩნეული, ნორმატიული ასახვა ჰპოვოს გარკვეულმა საკითხებმა, რომლებიც მართალია ამ ეტაპზე არ გვხვდება ამა თუ იმ კანონში, თუმცა სასამართლო განმარტებების საფუძველზე პრაქტიკაში უკვე რეალურად არის დამკვიდრებული.

ასევე გასათვალისწინებელია ის დეფინიციები, რომლებიც საერთაშორისო შეთანხმებებში და სხვადასხვა ნორმატიულ მასალაში არის განხილული, და რომელთა არსებობა შესაძლებლობას იძლევა უკეთ იქნას გაგებული მათი არსი.

## ბიბლიოგრაფია:

### სამეცნიერო ლიტერატურა

1. *ბიჭია მ.*, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, თბილისი, 2014.
2. *ბიჭია მ.*, დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა, სამართალი და მსოფლიო №4, თბილისი, 2016.
3. *ბიჭია მ.*, პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, „სამართლის ჟურნალი“, №1, თბილისი, 2017.
4. *გაიუსი*, The Digest of Justinian, Vol. 1, University of Pennsylvania Press, Philadelphia 1909, დიგესტი: 9-3-7.
5. *გალდავა გ.*, სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სამართლის ჟურნალი №1, თბილისი 2009.
6. *დოლაძე ლ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანი გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2010.
7. *თოდუა მ. / ქურდაძე შ.*, ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, თბილისი 2005.
8. *კვანტალიანი ნ.*, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2014.
9. *კროპკოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბილისი 2014.
10. *მონიავა თ.*, პირადი არაქონებრივი უფლებები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, სამართლის ჟურნალი №1, თბილისი 2017.



11. *ნინიძე თ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 1999.
12. *ქიჩაშვილი კ.*, ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, შედარებითსამართლებრივი კვლევა, თბილისი, 2009, 82.
13. *ჭანტურია ვ.*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 1997.
14. *Alberto Diaz J.*, Non Physical Damage: A Comparative Perspective, University of Canterbury, Canterbury 2010.
15. *Beede M.*, Duty, foreseeability, and the negligent infliction of mental distress, 1981.
16. *Bohlen H. F.*, "Right to Recovery for injury resulting from negligence without impact", Vol. 50 American Law Registers,
17. *Cannarsa M.*, Personal injury compensation in France' in Marco Bona and Philip Mead, Personal injury compensation in Europe, Lyon, 2003.
18. *Chanturia L.*, Die Europaisierung des georgischen Rechts – bloßer Wunsch oder große Herausforderung? In Rabels Zeitschrift, Band 74, Heft 1, 2010, 154-181.
19. *Esmein P.*, La commercialization du prejudice moral", 1954.
20. *Fleming G. J.*, "Distant shock in Germany (and elsewhere), 20 American Journal of Comparative Law №485, 1972.
21. *Fleming G. J.*, Distant Shock in Germany (and Elsewhere), The American journal of Comparative Law Vol. 20, Issue 3, July 1<sup>st</sup> 1972
22. *Hanford P.*, Moral damage in Germany, 27 International and Comparative Law Quarterly, 1978.

23. *Henderson, R. C.*, Compensation for Non-Economic Loss, the Tort-Liability Insurance System, and the 21<sup>st</sup> Century, 39 C. DE D., 1998.
24. *Hicks T.*, Post traumatic stress disorder and the law, 2003.
25. *Karner E., Koziol H.*, Non-pecuniary loss under Austrian law,
26. *Horton W.V.*, Damages for non-pecuniary loss in a comparative perspective, 2001.
27. *Keeton W.P.*, “Prosser and Keeton on the law of Torts, 5<sup>th</sup> ed., St-Paul, West Publishing Co., 1984.
28. *Mullany N.*, Psychiatric injury and communications of trauma, in *Mullany and Linden*, Torts Tomorrow, 1998.
29. *Magnus U., Fedtke J.*, Non-Pecuniary loss under German law, in W.V. Horton Rogers, Damages for non-pecuniary loss in a comparative perspective, 2011.
30. *Nelson J. L. / Morrissey A. M. / Kilgore L. M.*, Medical Malpractice Reform in Three Southern States, September 2008.
31. *O’Connel / R.J. Simon*, “payment for Pain & Suffering: Who Wants What, When & Why”, 1972.
32. *Palmer V. V.*, The Recovery of Non-Pecuniary Loss in European Contract Law, Cambridge University Press, 2015.
33. *Parrellada C.*, El daño moral’ in Aída Kemelmajer de Carducci (Ed.) Responsabilidad Civil, 2007.
34. *Rogers W. V. H.*, Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective, Tort and Insurance Law Vol. 2, SpringerWienNewYork, 2009.

35. *Scott Jenkins R., Wm. Schweinfurth, Wm.*, California's Medical Injury Compensation Reform Act: An Equal Protection Challenge
36. *Ventura Carla Aparecida Arena, Miwa Marcela Jussara, Marjore Serega Jorge, Mendes Isabel Amelia Costa*, Health, Human and Sustainable Development, International Journal of Social Science Studies, Vol. 4, No. 2, February 2016.
37. *White G.E.*, Tort Law in America: An Intellectual History by G. Edward White, American Bar Foundation Research Journal Vol. 5, No. 3, Summer, 1980.
38. *Wurmnest W.*, Grundzuge eines eurpaischen Haftungsrechts: eine rechtsvergleichende Untersuchung des Gemeinschaftsrechts, Tubingen, 2003.
39. *Dauti A.*, Compensation for Immaterial (Moral) Damage Due to Violation of Personality Rights in Kosovo, ACTA UNIVERSITATIS DANUBIUS, Vol. 13, No. 3/2017.
40. *Zweigert K. & Hein,/ Kotz*, An introduction to comparative law, 1977.
41. *Эрделевский А.*, Компенсация морального вреда: анализ и комментарий законодательства и судебной практики, 3-е издание, исправленное и дополненное, М., 2007.
42. *Табунщиков А. Т.*, Компенсация морального вреда в россии и за рубежом: Многоаспектность проблемы, 2009.
43. *Markesinis B. / Deakin S.*, Tort Law, Oxford University Press, 2008.
44. *Ebke W./ Finkin M.*, Introduction to German Law, 1996.

## სასამართლო პრაქტიკა

### საქართველო

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 აპრილის №ას-1477-1489-2011 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 19 მაისის No ას-998-956-2013 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 8 ნოემბრის No ას-370-352-2013 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 9 ნოემბრის No ას-823-1109-09 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 22 ნოემბრის No ას-868-817-2010 განჩინება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 აგვისტოს No 2/ბ-614 განჩინება(4.25.).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის № ას-1156-1176-2011 განჩინება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის №18156/05 განჩინება საქმეზე: ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: №2ბ/679-12.

საქართველოს საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 ივნისის №3/807-15 გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 3 ოქტომბრის განჩინება: №2გ/1346-17.

## უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებები

Batalla v. State, 10 N.Y.2d 237, 219 N.Y.S.2d 34, 176 N.E.2d 729, 1961  
Mitchell v. Rochester Ry. Co., 151 N.Y. 107, 45 N.E. 354  
Camper v. Minor, 915, S.W.2d 437, 1996.  
Wilson v. Sears, Roebuck & Co., 757 F.2d 948, 8<sup>th</sup> Cir. 1985  
Sullivan v. Boston Gas Co. 1993.  
Czaplicki v. Gooding Joint School D., Idaho Supreme Court, 775 P.2d 640  
Silberstein v. Cordie. Minnesota Court of Appeals, 474 N.W.2d 850, 1991  
Wright v. Coca Cola Bottling Co., Supreme Court of South Dakota, 414 N.W.2d 608, 1987  
*Lord Wensleydale*, Lynch v. Knight, 1861, 11 ER 854; 9 HLC 577  
Alcock v. Chief Constable of South Yorkshire, 1992.

## ნორმატიული მასალა

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 1900 წლის 1 იანვარი.  
საქართველოს კონსტიტუცია, 1995 24 აგვისტო  
კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ, 1997 წლის 4 აპრილი.  
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი.  
ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, 1997 წლის 10 დეკემბერი.  
პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონი, 2000 წლის 5 მაისი  
სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წლის, 22 ივლისი  
პაციენტთა უფლებების ევროპული ქარტია, ნოემბერი, 2002 წელი.  
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანება შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ.  
საქართველოს კანონი „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“, 2001 წლის 7 დეკემბერი.  
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წლის 22 ივლისი, თბილისი.  
Allgemeines bürgerliches Gesetzbuch, (General Civil Code of Austria), 1811, fassung vom 15.07.2019.  
Universal Declaration of Human Rights, December 10<sup>th</sup> 1948.  
1966 International Covenant on Economic, Social and Cultural Rights.

## ინტერნეტ რესურსი

World Health Organization, The Right to Health, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, Fact Sheet No. 31. <https://www.ohchr.org/Documents/Publications/Factsheet31.pdf>.

Constitution of the World Health Organization, Forty-fifth edition, Supplemental, October 2006. [https://www.who.int/governance/eb/who\\_constitution\\_en.pdf](https://www.who.int/governance/eb/who_constitution_en.pdf).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დასაკმებისა და უმუშევრობის მონაცემები:

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba>

Universal Declaration of Human Rights, Article 25,

[https://www.un.org/en/udhrbook/pdf/udhr\\_booklet\\_en\\_web.pdf](https://www.un.org/en/udhrbook/pdf/udhr_booklet_en_web.pdf).

1966 International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, 1,

<https://www.ohchr.org/Documents/ProfessionalInterest/cescr.pdf>.